347(075.4)
ბ-22

ომარ ფარტენაძე

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები

ბათუმი
1998

ომარ ფარტენაძე

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები

გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

ბათუმი 1998

340(0753
3302

ავტორი წინამდებარე გამოცემას უძღვნის მშობლიური უნივერსიტეტის 60 წლის იუბილეს.

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილია გაეროს მიერ მიღებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის შესახებ არსებული სხვადასხვა დებულება. წესები ითარგმნა ავტორის მიერ რუსულიდან და დაერთო მისეული კომენტარები სქოლიოებში, სადაც გადმოცემულია წესების ზოგიერთი მუხლის ინტერპრეტაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

გამოცემა გათვალისწინებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა პირებისათვის, ადვოკატებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, სტუდენტებისათვის და დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორ-რეცენზენტები:

1. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი
   გივი დიასამიძე
2. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
   ყანო გაბაიძე
3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლისა და საშოქალაქო სამართლის კათედრის გამგე
   ვაჟა ხახუტაიშვილი

რუსულიდან თარგმნა ომარ ფარტენაძემ

გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“

რ.ნ. 01/04-849

1624

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

საქართველოს სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის განახლების არსებით ფაქტორად იქცა ქვეყნისა და ერის მისწრაფება სახელმწიფოთა საერთაშორისო გაერთიანებაში ინტეგრაციისათვის. საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის გაერთიანების სტრუქტურებში ნიშნავს იმას, რომ ის თავის თავზე იღებს ვალდებულებას თანმიმდევრულად განახორციელოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში აღიარებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები და ნორმები, რომლებიც შეადგენენ მსოფლიო ქვეყნების თანამეგობრობის იურიდიულ საფუძველს. პირველყოვლისა ეს ეხება ადამიანისა უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფას.

გაეროს არსებობის ისტორიაში, მისი სისტემის ფარგლებში მრავალი საერთაშორისო სამართლის ნორმა შემუშავდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში. ეს დოკუმენტები შეიცავენ საკონტროლო მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოები ადამიანის უფლებების დაცვას განახორციელებენ თავიანთ ტერიტორიებზე.

სახელშეკრულებო ნორმები, რომლებსაც ეს შეთანხმებები შეიცავენ, ქმნიან საერთაშორისო სტანდარტების მინიმუმს და მათი რატიფიკაციის მომხდენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე პირდაპირი მოქმედების ძალა აქვთ. ეს სტანდარტები ხელს უწყობენ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობათა დემოკრატიზაციას და უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა სამართლებრივი ნორმების პრიმატს, რაც გულისხმობს ეროვნული კანონმდებლობის ნორმების საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შესაბამისობას, აგრეთვე უშუალოდ სასამართლოებისა და ყველა თანამდებობის პირის მიერ მათ სავალდებულო გამოყენებას.

მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სფეროს. ეს უკანასკნელი, ჩამოყალიბე-

ბული საერთაშორისო ტერმინოლოგიით, მოიცავს არა მხოლოდ საკუთრივ მართლმსაჯულებას, ამავდროულად სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის თავიდან აცილებასა და ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულებას. ამიტომ გასაგებია სახელმწიფოთა სწრაფვა სისხლის სამართლისა და სასჯელ-აღსრულებითი პოლიტიკის, აგრეთვე სისხლის სამართლებრივ დასჯას დაქვემდებარებული პირების მიმართ მოპყრობის საშუალებებისა და მეთოდების მაქსიმალური კოორდინირებისათვის, საერთაშორისოდ აღიარებული ჰუმანური პრინციპების სულისკვეთებით.

ადამიანთა უფლებების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად სასჯელ-აღსრულებითი სისტემის მიმართ მუშავდება და გამოიყენება დებულებები, რომლებიც თანამედროვე პენიტენციარულ თეორიაში იწოდება მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებად. მათში კონცენტრირებულია სასჯელ-აღსრულებითი პრაქტიკის მსოფლიო გამოცდილება, სასჯელ-აღსრულებითი სისტემის განვითარების ჰუმანური ტენდენციები.

თავისუფლების აღკვეთისათვის დამახასიათებელი საზოგადოდ მიღებული სპეციალური სტანდარტები ჩამოყალიბებულია მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში. მათი წინამორბედები იყვნენ ჯერ კიდევ 1934 წელს ერთა ლიგის წევრი ქვეყნების ასამბლეის მიერ ხელისუფლებებისადმი რეკომენდირებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.

ერთა ლიგის წესები ეხებოდა მსჯავრდადებულთა კლასიფიკაციას, მათი განთავსების პირობებს, საპყრობილეების რეჟიმებს, დისციპლინას, დაწესებულებათა პერსონალს და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული პირების სოციალური რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობას. ეს წესები საერთაშორისო მასშტაბით უცვლელი იყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. 1945 წელს შექმნილმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყურადღება

გაამახვილა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების განვითარებაზე, საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვაზე, დანაშაულებებთან ბრძოლასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე.

1948 წელს მიღებულმა ადამიანის უფლებების სოყოველთაო დეკლარაციამ ბიძგი მისცა სასჯელის აღსრულების პოლიტიკის უფრო ჰუმანური და პროგრესიული პრინციპების განვითარებას, რომელიც გამომდინარეობდა საზოგადოების განახლებიდან და ახალი დემოკრატიული ორიენტაციიდან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1949 წელს მოიწვია საპყრობილური გამგეობის დარგში საერთაშორისო სპეციალისტებისაგან შემდგარი თავისი ორგანო. მათი რეკომენდაციით გადამოწმებული იქნა ერთა ლიგის ეგიდით შემუშავებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.

ახალი წესების პროექტი მიღებული იქნა 1955 წლის 30 აგვისტოს დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავეებთან მოპყრობის პრობლემებზე მოწვეულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირველ კონგრესზე. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებსა და მათ გამოყენებას გაეროს ყოველ შემდგომ კონგრესებზე ყურადღება ეთმობოდა თავისუფლების აღკვეთის ყველა შესაძლებელ სფეროში მათი გავრცელების მიზნით. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ აღნიშნული წესები მოწონებული და მიღებული იქნა 1957 წელს. 1984 წელს გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მოიწონა მინიმალური სტანდარტული წესების შესრულების ეფექტური პროცედურები.

დღესდღეობით, მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები არის უნიფიცირებული საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მოპყრობის საფუძვლებს. ის შეიცავს 95 ვრცელ მუხლს.

ამ საკითხთან დაკავშირებულ რეზოლუციებში რეზოლუციებში, რომელთა მიხედვითაც წესები მოქმედებაში შევი-

დნენ, და თვით წესებშიც მითიებულია, რომ მათ საერთაშორისო სამართალში არ აქვთ სავალდებულო სტატუსი. ისინი გათვალისწინებული არიან მხოლოდ იმისათვის, რომ თანამედროვე აზროვნების საყოველთაოდ აღიარებული მიღწევების საფუძველთა და თანამედროვე ეტაპზე მეტად დამაკმაყოფილებელი სისტემების ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს ის, რაც მსჯავრდადებულებთან მოპყრობისა და სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების მართვის დარგში პრინციპული და პრაქტიკული მხედველობით ითვლება სწორად.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები გადაიქცა სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი სისტემის, როგორც მისაღები პრაქტიკის საერთაშორისო აღიარების ბირთვად. საერთაშორისო მთავრობათაშორისო და არამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მიერ ამ წესების საერთო აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ ცალკეულად ყოველ ნორმას გააჩნია სავალდებულო ძალა. ასეთ განმარტებას თვით წესებიც გამორიცხავენ.

არასრულწლოვნების განსაკუთრებული მდგომარეობის, მათი ხასიათის არასტაბილურობისა და ჩადენილი დანაშაულისათვის მათი შედარებით ნაკლები პასუხისმგებლობის გამო საერთაშორისო საზოგადოების მიერ და სისხლის სამართლებრივ იუსტიციის სისტემაში შემუშავებული იქნა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვისათვის ცალკეული დოკუმენტები.

სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემაში არასრულწლოვნებისათვის სპეციალურად მიძღვნილია გაეროს მიერ მიღებული მინიმალური სტანდარტული წესები, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების შესრულებას არასრულწლოვანებთან დამოკიდებულებაში. მათ მიიღეს პირობითი დასახელება - "პეკინის წესები". „პეკინის წესები" წარმოდგენილი იყო 1985 წლის სექტემბერში დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ მოწვეულ გაეროს მეშვიდე კონგრესის მიერ, რომელიც მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ

1985 წლის ნოემბერში. პეკინის წესები ატარებენ რეკომენდაციულ ხასიათს და განხორციელებული უნდა იქნენ გაეროს ყველა წევრ-სახელმწიფოებში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტში.

აღნიშნული საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი განსაზღვრავს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პრინციპებს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ყველა სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი სასჯელის მოხდის მხრითაც. წესებში ხაზგასმულია არასრულწლოვნებთან დამოკიდებულებაში მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფის აუცილებლობა და ამავდროულად, არასრლულწლოვნებთან დამოკიდებულებაში პროგრესული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის შესაბამისი ზომების მიღების საკითხი.

სსრ კავშირის არსებობის დროს შრომა-გასწორების კანონმდებლობა მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებს ანიჭებდა მხოლოდ ინფორმაციულ მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები ოფიციალური გამომცემლობით გამოდიოდა საბჭოთა კავშირში მხოლოდ გრიფით, "სამსახურეობრივი სარგებლობისათვის".

90-იანი წლების მეორე ნახევრამდე მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები საქართველოში არც სახელმძღვანელოში და არც პრესაში გაშუქებული არ იყო, ამ სფეროში არ მიმდინარეობდა არც სამეცნიერო კვლევა. სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლობითი მექანიზმი და სისხლის სამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი სისტემის უწყებრივი კარჩაკეტილობა დაბრკოლებას უქმნის საერთაშორისო სტანდარტების პოზიციიდან აღნიშნულ სისტემაში ფაქტიური მდგომარეობის შეფასებას.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციისაკენ მისწრაფება არაერთხელ იქნა აღიარებული საქარ-

თველოს საკანონმდებლო თუ სააღმასრულებლო ორგანოების, ადრე კი-სსრ კავშირის მიერ. ჯერ კიდევ 1989 წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ვენის შეთანხმებებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, რითაც თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ თავისუფლებააღკვეთილ ყოველ პირს მოეპყრობოდა ჰუმანურად და მისი ღირსების პატივსაცემად, აგრეთვე დაიცავდა გაეროს მიერ მიღებულ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს.

ბოლო წლებში მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებმა და მათი განხორციელების საკითხებმა პპოვეს ფართო და შედარებით ობიექტური ასახვა სისხლისა და სასჯელ-აღსრულებითი სამართლის თეორიებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და სასჯელ-აღსრულებით სისტემაში მომუშავე პერსონალის პროფესიონალური ცოდნის გაახლებას.

იურიდიული თვალსაზრისით შესაძლებელია სასჯელ-აღსრულებით სისტემაში საერთაშორისო სამართლის ნორმების რეალიზაციის ორი გზა. პირველი- მათი პირდაპირი მოქმედება შიდასახელმწიფოებრივ ნორმებთან ერთად. მეორე - შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების მოყვანა საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში.

ამ სფეროში საერთაშორისო პაქტებისა და კონვენციებისაგან განსხვავებით, მსჯარდადებულებთან მოპყრობის შესახებ მიღებული სპეციალური საერთაშორისო დოკუმენტები წარმოადგენენ არა საერთაშორისო შეთანხმებებს, არამედ საერთაშორისო მთავრობათაშორისო ორგანიზაციების აქტებს. ისინი არ საჭიროებენ რატიფიკაციას, არ გააჩნიათ აუცილებელი იურიდიული ძალა.

რა სახით არის შესაძლებელი მათი მიკუთვნება საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმებისადმი? საერთაშორისო სამართლის თეორიაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ ნათლად გამოხატული ან უსიტყვო თანხმობის გარეშე სახელმწიფოს არ შეიძლება თავს

მოეხვიოს არავითარი საერთაშორისო ვალდებულება. საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკაში და საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში მითითებანი არ განიხილებიან, როგორც საკმარისნი, საერთაშორისო თანამეგობრობისა და კენჭისყრისათვის უფლებამოსილი სახელმწიფოების მიერ აღიარებული, ამა თუ იმ ნორმის იურიდიული აუცილებლობის დასაბუთებისათვის.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტები ატარებენ რეკომენდაციულ ხასიათს, რაც ასახულია მათ შინაარსში. ამავდროულად დაუშვებელია მათი იურიდიული მნიშვნელობის შეუფასებლობა. მართალია მათ არა აქვთ საერთაშორისო სამართალში სავალდებულო ნორმის სტატუსი, მაგრამ ისინი ფართოდ არიან აღიარებულნი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ისეთი წესების სახით, რომლებიც ასახავენ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის პროგრესულ სისტემაში არსებულ ფაქტიურ მდგომარეობებს. როგორც გაეროს, ასევე ევროპის საბჭოს რეზოლუციებში გათვალისწინებულია საერთაშორისო სტანდარტების რეალიზაციაზე კონტროლი, რათა საერთაშორისო მასშტაბში შენარჩუნდეს მათი მაღალი მორალური და პოლიტიკური სტატუსი.

რეკომენდირებული საერთაშორისო სტანდარტების საყოველთაო აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ გათვალისწინებულ ყოველ წესს აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა. როგორც უკვე ავღნიშნეთ, თვით აქტებიც გამორიცხავენ ასეთ ინტერპრეტაციას. მაგრამ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტების ზოგიერთი დებულება ასახავს სხვა იურიდიულად სავალდებულო და რატიფიცირებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს. ამით შესაბამისი კონკრეტული დებულებების იურიდიული მნიშვნელობა იზრდება. ეს პირველყოვლისა ეხება ჰუმანიზმის, კანონიერების, მორალის, სამართლიანობისა და ადამიანის ღირსების პატივისცემის საწყისებზე სისხლისსამართლებრივი სასჯელაღსრულებითი სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინ-

ციპებს. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის სპეციალური საერთაშორისო სტანდარტების სამართლებრივი რეალიზაციის მთავარ ხერხად მაინც რჩება საჭირო ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებებით გამაგრებული სასჯელის აღსრულებისა და მოხდის სამართლებრივი საფუძვლების რეფორმა.

ბოლო წლებში ჩამოყალიბებული საკანონმდებლო და სამართალგამოყენებადი მოღვაწეობის პრაქტიკა შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს საქართველოს სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებით კანონმდებლობაზე საერთაშორისო სტანდარტების გავლენის რამოდენიმე გზა.

- პირველყოვლისა, სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულების სამართლებრივი საფუძვლების მაქსიმალური გახსნილობის უზრუნველყოფა (ყოველი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც ეხება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს, თავისუფლებებსა და ვალდებულებებს, არ შეიძლება იქნეს მიღებული თუ ის არ იყო გამოქვეყნებული საყოველთაო ინფორმირებისათვის).

- მეორე, სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის იურიდიული განსაზღვრა. (სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით კანონმდებლობასა და რატიფიკაცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის წინააღმდეგობების შემთხვევაში, აღნიშნული სამამულო კანონმდებლობა მოყვანილი უნდა იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში. სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობა არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო აქტებს მსჯავრდადებულების წამებისაგან და სხვა არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის შესახებ. სხვა საერთაშორისო აქტების რეკომენდაციები, რომლებიც ეხება მსჯავრდადებულებთან მოპყრობასა და სასჯელის აღსრულებას, სისხლისსამართლებრივ სასჯელ-აღსრულებით კანონმდებლობაში ხორციელდება საჭირო ეკონომიკური და სოციალური პირობების არსებობის შემთხვევაში).

-მესამე, საერთაშორისო სტანდარტების გავლენა სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის ამოცანებისა და პრინციპების განსაზღვრაზე. (მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო-სამართლებრივმა სტანდარტებმა უნდა მოახდინონ უეჭველი გავლენა ახალი სისხლისსამართლებრივი სასჯელ-აღსრულებითი კანონმდებლობის პრინციპების განსაზღვრაზე).

საქართველოს სასჯელ-აღსრულებითი კოდექსის შემუშავებისას საჭიროა ყურადღება მიექცეს საზოგადოებრივი ფასეულობების პრიორიტეტს, გარანტიის სისტემის უზრუნველყოფას, მსჯავრდადებულთა ადამიანური ღირსების დამცირების გამორიცხვას, აგრეთვე არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში სასჯელის მოხდისა და მსჯავრდადებულებთან მოპყრობის პირობებისა და წესის მაქსიმალურად მოყვანას. სასჯელის აღმასრულებელი ორგანოების ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს მსჯავრდადებულთა გამოსწორება მათი შემდგომი სოციალური რეაბილიტაციის გათვალისწინებით, რაც იქნება შესაბამისობაში გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტთან. აქედან გამომდინარე, მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტები გადაიქცნენ როგორც თვით კოდიფიკაციის ამოცანების, ასევე სასჯელ-აღსრულებითი კოდექსის პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრის საწყის წერტილებად.

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1994 წლის 23 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად 2005 წლამდე პერიოდი გამოცხადდა მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის დეკადად. გაერომ მიმართა სახელმწიფოებს გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა დაბალი სამართლებრივი ცოდნის ასამაღლებლად, განსაკუთრებით ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში და დაუსახა კონკრეტული ამოცანები მთავრობათაშორისო და არამთავრობათაშორისო ორგანიზაციებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს ამ მიმართულებით. რადგან მსჯავრდადებუ-

ლებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ასახულია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის მრავალი დებულება, ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ წინამდებარე გამოცემაც ემსახურება აღნიშნულ მიზნებს.

წესები ითარგმნა ავტორის მიერ რუსულიდან და დაერთო მისეული კომენტარები სქოლიოებში, სადაც გადმოცემულია წესების ზიგიერთი მუხლის ინტერპრეტაცია საქართველოს მოქმედი კანონმდნბლობის მიხედვით.

წინამდებარე გამოცემამ დიდი დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოში სასჯელ-აღსრულებითი სისტემის რეფორმირებას. ასევე კანონმდებელს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში.

გამოცემა გათვალისწინებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა პირებისათვის, ადვოკატებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, სტუდენტებისათვის და დაინტერესებული მკითხველისათვის.

ომარ ფარტენაძე

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო მინიმალური სტანდარტული წესები

წინასწარი შენიშვნები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი წესების მიზანი არ არის სანიმუშო ხასიათის პენიტენციარული დაწესებულებების დაწვრილებით აღწერა, ისინი განკუთვნილია იმისათვის, რომ თანამედროვე აზროვნების საყოველთაოდ აღიარებული მიღწევების საფუძველზე და დღეისათვის ყველაზე დამაკმაყოფილებელი სისტემების ძირითადი ელემენტების გათვალისწინებით გადმოიცეს, თუ ჩვეულებრივ რა არის პრინციპული და პრაქტიკული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის და დაწესებულებათა მართვის სფეროში.

2. ნათელია, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ იურიდიული, სოციალური, ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებას, ყველა ამ წესის ერთდროულად და ყველგან გამოყენება შეუძლებელია. მაგრამ, ამასთან, უნდა აღძრან სურვილი მათი ხორცშესხმის გზაზე მდგარი სირთულეების გადაჭრისა, რადგან მთლიანობაში მოიცავენ იმ მინიმალურ პირობებს, რომლებიც მისაღებად მიაჩნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

3. მეორე მხრივ, ჩამოთვლილი წესები ეხება მოღვაწეობის იმ სფეროს, სადაც აზრი სულ უფრო წინ მიდის. მათი მიზანი არ არის ხელი შეუშალოს ცდების ჩატარებას და ჩამოთვლილი მიზნების მიღწევისაკენ პრინციპებისათვის შესაბამისი პრაქტიკის დანერგვას.

4. ა. წესების პირველი ნაწილი ეხება დაწესებულებათა საერთო მართვას და მისაღებია ყველა კატეგორიის მსჯავრდადებულთათვის, მიუხედავად იმისა, ისინი დაკავებული არიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის თუ სამოქალაქო საქმის გამო და უკვე გასამართლებულნი არიან თუ საქმე ჯერ კიდევ ძიების პროცესშია; აგრეთვე გამოსაყენებელია იმ მსჯავრდადებულთათვის, რომლებსაც მოსა-

მართლის გადაწყვეტილებით დაუნიშნეს "უსაფრთხოების" ანუ გამოსასწორებელი ღონისძიებანი.

ბ. მეორე ნაწილში გადმოცემული წესები მისაღებია განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდადებულთათვის, რომელთა შესახებ ცალკეულ განყოფილებებშია საუბარი. მაგრამ განყოფილებაში მითითებული წესები თანაბრად ეხება იმ კატეგორიის პირებსაც, რომელთა შესახებ საუბარია „ბ", „გ" და „დ" განყოფილებებში იმ შემთხვევაში, თუ არ ეწინააღმდეგება ამ კატეგორიებისათვის შემუშავებულ წესებს და აუმჯობესებს მსჯავრდადებულთა მდგომარეობას.

5. ა. წესების მიზანი არ არის მოახდინოს არასრულწლოვანთათვის განკუთვნილი ისეთი დაწესებულებების მართვის რეგლამენტაცია, როგორიცაა - ბორსტალის დაწესებულება ან გამოსასწორებელი სახლები. ამის მიუხედავად პირველი ნაწილის წესები შეიძლება გამოყენებული იქნეს ამგვარ დაწესებულებებშიც.

ბ. არასრულწლოვანთა კატეგორიას მიეკუთვნება უკიდურეს შემთხვევაში ყველა ახალგაზრდა მსჯავრდადებული, რომელიც შედის არასრულწლოვანი დამნაშავეებისათვის განკუთვნილი სასამართლოების კომპეტენციაში, როგორც წესი, ასეთი ახალგაზრდები არ უნდა იქნენ თავისუფლებააღკვეთილნი.

ნაწილი პირველი

საყოველთაო წესები

ძირითადი პრინციპები

6[1]. ა. ქვემოთ ჩამოთვლილი წესები გამოყენებული უნდა იქნეს მიკერძოების გარეშე, დისკრიმინაცია რასობრივი ნიშნის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა წარმოდგენების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ოჯახური ან სოციალური პირობების საფუძველზე დაუშვებელია.

---

[1] აღნიშნული წესი იმპერატიულ ფორმაში კრძალავს დისკრიმინაციას, გამორიცხავს პენიტენციარული დაწესებულებების ფუნქციონირებაში ყოველგვარი რასიზმის, ნაციონალიზმის გამოვლენის მცდელობას. დისკრიმინაცია - არის პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების წინასწარგანზრახული შელახვა სხვებთან შედარებით, რასის, სქესის, ნაციონალობის, ასაკის, ქონებრივი მდგომარეობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსის მიხედვით. უნდა განვასხვავოთ დისკრიმინაცია მსჯავრდადებულთა გარკვეული ჯგუფის მიმართ და ყოველი მსჯავრდადებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა. პირველი გულისხმობს არასამართლიანად მიყენებულ ზარალსა და მორალურ ზიანს, ხოლო მეორე - მსჯავრდადებულზე დიფერენცირებული ზემოქმედების აუცილებლობის აღიარებას ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივად საშიში ხასიათისა და ხარისხის, მსჯავრდადებულის პიროვნების, აგრეთვე მისი ქცევისა და შრომისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

ამ წესმა თავისი გამოყენება პპოვა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში, სადაც აღნიშნულია: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასის, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

ბ. მეორე მხრივ, საჭიროა, მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენელი მსჯავრდადებულის რელიგიური რწმენის და მორალური წარმოდგენების პატივისცემა.

რ ე ე ს ტ რ ი

7.1. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში უნდა არსებობდეს რეესტრი აკინძული და გვერდებდანომრილი ჟურნალის სახით, რომელშიც შეტანილი იქნება შემდეგი მონაცემები თითოეული მსჯავრდადებულის შესახებ:

ა) ცნობები მისი პიროვნების შესახებ;

ბ) თავისუფლების აღკვეთის მიზეზები და ხელისუფალნი, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება მისი თავისუფლების აღკვეთის შესახებ;

გ) ადგილზე შემოსვლის და გასვლის დღე და საათი.

7.2. საპყრობილეში არაეინ მიიღება თავისუფლების აღკვეთის შესახებ ნამდვილი ბრძანების გარეშე, რომლის დაწვრილებით მონაცემებს წინასწარ შეიტანენ რეესტრში.

კატეგორიებად დაყოფა

8.[1] სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდადებულებს განცალკევებით ათავსებენ სხვადასხვა დაწესებულებებში ან ერთი და იგივე დაწესებულების სხვადასხვა ნაწილში მათი სქესის, ასაკის, წინანდელი ნასამართლეობის, დაკავების იურიდიული მიზეზების და მათდამი მოპყრობის წინასწარ დადგენილი წესის საფუძველზე. ამდენად:

ა) შეძლებისამებრ ქალები და მამაკაცები განცალკევებულ დაწესებულებებში უნდა მოთავსდნენ;

ბ) თუ ქალები და მამაკაცები ერთსა და იმავე დაწესებულებაში არიან, ქალები უნდა მოთავსდნენ სავსებით განცალკევებულ შენობებში;

გ) მსჯავრდადებული პირებისაგან განცალკევებით ათავსებენ ძიებაში მყოფ პირებს;

დ) პირნი, რომლებიც გასამართლებულნი არიან სავალო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო და სხვა პირნი, გასამართლებულნი სამოქალაქო საქმეების გამო უნდა

---

[1] წესი ითვალისწინებს მსჯავრდადებულთა დაყოფას სხვადასხვა კატეგორიებად, ე.ი. მათ დიფერენციაციას, რაც ხორციელდება მეცნიერულად შეჭუშავებული კლასიფიკაციის საფუძველზე. მსჯავრდადებულთა სხვადასხვა კატეგორიებად განთავსებას აქვს შემდეგი მიზნები:

1. იზოლირება და ამით ყველაზე კრიმინალური მსჯავრდადებულების შედარებით არასაშიშ მსჯავრდადებულებზე ცუდი ზეგავლენის თავიდან აცილება.

2. დასჯისა და გამოსასწორებელი ზემოქმედების დიფერენცირებული გამოყენების უზრუნველყოფა.

3. ისეთი სასჯელ-აღსრულებითი დაწესებულებების მშენებლობა, რომლებიც ოპტიმალურად შეესაბამება სასჯელის მიზნების მიღწევას.

4. საშიში დამნაშავეების მიმართ სამართალშეზღუდვების, დაცვისა და ზედამხედველობის გაძლიერება, ამავდროულად იმავეს შემცირება იმ მსჯავრდადებულთათვის, რომლებიც საზოგადოებისათვის საშიშროებას არ წარმოადგენენ.

მოთავსდნენ განცალკევებით სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი პირებისაგან;

ე) არასრულწლოვანი სამართალდამრღვევნი სრულწლოვანთაგან განცალკევებით უნდა მოთავსდნენ.

შენიშვნები

9.[1] ა. იქ, სადაც მსჯავრდადებულები ღამეს ათევენ, თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ცალკე ოთახი ან საკანი. თუ განსაკუთრებული მიზეზით არის გამოწვეული, მაგალითად - საპყრობილის დროებითი გადატვირთვის გამო, საპყრობილის ცენტრალურმა მმართველობამ უარი უნდა თქვას ამ წესის გამოყენებაზე. ორი მსჯავრდადებულის მოთავსება ერთსა და იმავე საკანში ან ოთახში არასასურველია.

ბ. იქ, სადაც არსებობს საერთო საკნები, მათში მოსათავსებელი მსჯავრდადებულების შერჩევაა საჭირო, რათა მათ შეძლონ ერთად ცხოვრება მოცემულ პირობებში. ამავდროულად უნდა ხორციელდებოდეს დაწესებულების დანიშნულების შესატყვისი მეთვალყურეობა.

10. ყველა შენობა, რომლითაც სარგებლობენ მსჯავრდადებულები, განსაკუთრებით - საძილე, უნდა პასუხობდეს ყველა სანიტარულ მოთხოვნას: ამასთან საჭირო ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებს, შენობაოა კუბატურას,

---

[1] აღნიშნული წესის პირველი ნაწილი მიეკუთვნება რეკომენდაციების იმ უმნიშვნელო რიცხვთა წრეს, რომელთა განხორციელებაც საქართველოში ახლო მომავალში შეუძლებელია პირველყოვლისა ქვეყნის ეკონომიკური პირობების გამო. საერთო საცხოვრებელ საკნებში განთავსებულ მსჯავრდებულთა რიცხვის გათვალისწინებით რთული ხდება იმ რეკომენდაციის შესრულება, რომელიც გვთავაზობს იმათ არჩევას, ვისაც შესწევს უნარი საერთო ცხოვრებისათვის (წესის მე-2 ნაწილი).

მინიმალური ფართობის რაოდენობას, განათებას, გათბობას, ვენტილაციას.

11. შენობებში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ მსჯავრდადებულები:

ა) ფანჯრები უნდა იყოს ისეთი სიდიდის, რომ მსჯავრდადებულებს შეეძლოთ დღის სინათლეზე კითხვა და მუშაობა, ისინი ისე უნდა იყოს კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოფდეს სუფთა ჰაერის შემოსვლას, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა;

ბ) ხელოვნური განათება იმდენად საკმარისი უნდა იყოს, რომ მსჯავრდადებულებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობისათვის ზიანის მიუყენებლად.

12. სანიტარული დანადგარები საჭირო რაოდენობით უნდა იყოს, რათა ყოველმა მსჯავრდადებულმა შეძლოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საჭიროების შემთხვევაში სისუფთავისა და წესრიგის პირობებში.

13. საბაზანო დანადგარებისა და შხაპების რაოდენობა საკმარისი უნდა იყოს, რათა ყოველმა მსჯავრდადებულმა შეძლოს, და იგი ვალდებულიც არის, მიიღოს აბაზანა ან შხაპი ყოველი კლიმატისათვის შესაფერის ტემპერატურაზე და იმდენად ხშირად, რამდენადაც ამას ითხოვს საერთო ჰიგიენის მოთხოვნები წელიწადის დროის და გეოგრაფიული რეგიონის გათვალისწინებით, ე.ი. ყოველ შემთხვევაში კვირაში ერთხელ მაინც ზომიერი კლიმატის პირობებში.

14. შენობის ყოველი ნაწილი, რომლითაც მსჯავრდადებულები რეგულარულად სარგებლობენ, ყოველთვის სუფთად და წესრიგში უნდა იყოს.

15[1]. მსჯავრდადებულებს უნდა მოეთხოვოთ სისუფთავის დაცვა. სისუფთავისა და ჯანმრთელობის დასაცავად ისინი უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ წყლით და ტუალეტის საგნებით.

16. იმისათვის, რომ მსჯავრდადებულებმა შეინარჩუნონ მათი ადამიანური ღირსების შესატყვისი გარეგნული სახე, საშუალება უნდა მიეცეთ იზრუნონ ვარცხნილობასა და წვერზე. მამაკაცებს ნება უნდა მიეცეთ რეგულარულად პარსვისათვის.

ტანისამოსი და საძილე მოწყობილობანი

17. ა) მსჯავრდადებულებს, რომელთაც უფლება არა აქვთ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, უნდა მიეცეთ კომპლექტი, რომელიც შეესატყვისება მოცემულ კლიმატს და საშუალებას იძლევა მათი ჯანმრთელობა შენარჩუნდეს დამაკმაყოფილებელ დონეზე. ტანსაცმლის კომპლექტი არ უნდა იყოს არც შეურაცხმყოფელი და არც დამამცირებელი.

ბ) ტანისამოსი უნდა იყოს სუფთა და მოწესრიგებული, საცვლების რეცხვა და გაცემა უნდა ხდებოდეს ჰიგიენის მოთხოვნების შესაბამისად.

გ) განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა მსჯავრდადებული ტოვებს დაწესებულებას ხელისუფალთა ნებართვით, მას უფლება აქვს ჩაიცვას საკუთარი სამოქალაქო

---

[1] პირადი ჰიგიენის დაცვის შესახებ წესი, რომელიც არსებობს საზოგადოებაში ზნეობრივი ნორმის სახით, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდადებულთა თავშეყრის პირობებში საჭიროებს სამართლის ნორმით გამაგრებას და ამით ის გადაიქცევა მსჯავრდადებულთა იურიდიულ მოვალეობად.

ტანსაცმელი, ან ისეთი ტანსაცმელი, რომელიც არ იქნება გამომწვევი.

18. რადგანაც მსჯავრდადებულს უფლება ეძლევა ატაროს სამოქალაქო ტანსაცმელი, მისი თავისუფლების აღკვეთის პერიოდში უნდა იქნას მიღებული ზომები, რათა ტანსაცმელი იყოს სუფთა და ტარებისათვის ვარგისი.

19. ყოველი მსჯავრდადებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ცალკე საწოლით ნაციონალური და ადგილობრივი ნორმების შესატყვისად, საკუთარი საძილე მოწყობილობებით, რომლებიც გაცემის მომენტში იქნება სუფთა, ხოლო გამოიცვლება იმდენად ხშირად, რამდენადაც ამას ითხოვს სისუფთავისა და ვარგისიანობის დაცვა.

ᲙᲕᲔᲑᲐ

20.1[1] საპყრობილის მმართველობამ გარკვეულ საათებში ყოველი მსჯავრდადებული უნდა უზრუნველყოს საკმარისად ყუათიანი, კარგი ხარისხის და კარგად მომზადებული საკვებით, რომელიც აუცილებელია მსჯავრდადებულის ჯანმრთელობის და ძალების შენარჩუნებისათვის.

20.2. ყოველი მსჯავრდადებულის განკარგულებაში უნდა იყოს სასმელი წყალი, როდესაც მას დასჭირდება.

---

[1] ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლისა და ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე ადამიანის კვება შეიძლება მივაკუთვნოთ მის საკმაო სასიცოცხლო დონის შენარჩუნების უფლებას. აღნიშნული უფლება ტოლფასია ჩასაცმელის, საცხოვრებლის უფლებისა და მიეკუთვნება ადამიანის ბუნებრივი უფლებების კატეგორიას.

ფიზიკური ვარჯიშები და სპორტი

21.1. ყოველ მსჯავრდადებულს, რომელიც არ არის დაკავებული სუფთა ჰაერზე მუშაობით, უფლება აქვს სულ მცირე ერთი საათი გაატაროს ეზოში ფიზიკური ვარჯიშების შესრულებისათვის, თუ ამის საშუალებას იძლევა ამინდი.

21.2. არასრულწლოვანი და სხვა შესაბამისი ასაკის მსჯავრდადებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ფიზიკური ვარჯიშით და ვარჯიშის დროს თამაშობებით, ამისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი მოედნები, დანადგარები და მოწყობილობები.

სამედიცინო მომსახურება

22.1[1] ყოველ დაწესებულებაში უნდა იყოს მინიმუმ ერთი კვალიფიციური სამედიცინო მუშაკი, რომელიც ერკვევა ფსიქიატრიაში, სამედიცინო მომსახურება ორგანიზებული უნდა იყოს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ან სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კავშირში. იგი უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიულ სადიაგნოსტიკო სამსახურს და იქ, სადაც ეს აუცილებელია, ფსიქიურად დაავადებული მსჯავრდადებულების მკურნალობას.

---

[1] ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება აღნიშნულია ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, რადგანაც ჯანმრთელობა აღიარებულია ადამიანის უმაღლეს ფასეულობად. ასე, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლში აღიარებულია ყველა მოქალაქის უფლება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემაში კვალიფიცირებულ დახმარებაზე. ეს კი ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურების ყველა ფორმის განვითარებას, რაც დაეხმარება ჯანმრთელობის განმტკიცებასა და სპორტის განვითარებას.

22.2. ავადმყოფი მსჯავრდადებულები, რომელთაც სპეციალისტის დახმარება სჭირდებათ, გადაყვანილ უნდა იქნენ განსაკუთრებულ დაწესებულებებში ან სამოქალაქო საავადმყოფოებში. საპყრობილის საავადმყოფოები აღჭურვილი უნდა იყოს ავადმყოფის მოვლის ან განკურნებისათვის საჭირო დანადგარებით, მოწყობილობებით და წამლებით, ავრეთვე საკმარისად კვალიფიციური პერსონალით.

22.3. ყოველ მსჯავრდადებულს საშუალება უნდა ჰქონდეს ისარგებლოს კვალიფიციური კბილის ექიმის დახმარებით.

23.1. ქალთა დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ განსაკუთრებული შენობები ფეხმძიმე და მშობიარე ქალების მოვლისათვის. იქ, სადაც შესაძლებელია, საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ მშობიარობა წარიმართოს არა საპყრობილის, არამედ სამოქალაქო საავადმყოფოში, თუ ბავშვი დაიბადა საპყრობილეში, ამის შესახებ მითითება დაბადების მოწმობაში არ არის საჭირო.

23.2. იქ, სადაც მსჯავრდადებულ დედებს ნებადართული აქვთ თან იყოლიონ ჩვილი ბავშვები, გათვალისწინებული უნდა იყოს კვალიფიციური პერსონალით აღჭურვილი ბაგების შექმნა, ბაგაში ბავშვი მოთავსდება მაშინ, როცა ის მოკლებულია დედის მზრუნველობას.

24. საჭიროა ყოველი მსჯავრდადებულის სამედიცინო შემოწმება მიღებისთანავე და შემდეგ, საჭიროების მიხედვით, რათა დადგინდეს - არის თუ არა იგი ფიზიკურად ან გონებრივად ავად; მიღებული უნდა იქნეს აუცილებელი ზომები, რათა მოხდეს იმ მსჯავრდადებულთა იზოლირება, რომელთა მიმართ არსებობს ეჭვი, რომ ისინი დაავადებულნი არიან რაიმე ინფექციური ან გადამდები სნეულებით; გამოვლინდეს მათი გამოსწორებისათვის ხელშემშლელი ფიზიკური ან გონებრივი ნაკლი; განისაზღვროს, როგორია მსჯავრდადებულის შრომისუნარიანობა.

25.1. მსჯავრდადებულთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნოს ექიმმა, რომელმაც ყოველდღე უნდა მიიღოს ან ინახულოს ავადმყოფები; ყველა მსჯავრდა-

დებული, ვინც ავადმყოფობას უჩივის, აგრეთვე ისინი, ვინც მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

25.2. ყოველთვის, როდესაც ექიმი ჩათვლის, რომ მსჯავრდადებულის ფიზიკური ან გონებრივი წონასწორობა დაირღვა ან ირღვევა მისი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნის გამო ან რაიმე სხვა გარემოებების გამო, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ დირექციას.

26.1. ექიმმა რეგულარულად უნდა აწარმოოს ინსპექცია და მოახსენოს დირექტორს შემდეგი საკითხების შესახებ:

ა) საკვების რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და დატარების პირობები;

ბ) დაწესებულებისა და მასში მყოფ პირთა ჰიგიენა და სისუფთავე;

გ) დაწესებულების სანიტარული მდგომარეობა, გათბობა, განათება და სისუფთავე;

დ) მსჯავრდადებულთა ტანსაცმლისა და საძილე მოწყობილობების ვარგისიანობა და სისუფთავე;

ე) ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული წესების შესრულება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს საშუშაო არა აქვს დაკისრებული სპეციალიზებულ პერსონალს.

26.2. დირექტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს ექიმის მიერ 25.2. და 26 წესების თანახმად გაგზავნილი მოხსენებანი და რჩევები და თუ ეთანხმება ექიმის რეკომენდაციებს, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მათი განხორციელებისათვის, თუ აღნიშნული რეკომენდაციები მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ან თუ იგი არ ეთანხმება მათ, დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს ზემდგომ ორგანოებს როგორც საკუთარი მოხსენება, ისე ექიმის რეკომენდაციები.

დისციპლინა და სასჯელები

27[1]. დისციპლინა და წესრიგი უნდა შენარჩუნდეს მტკიცედ, მხოლოდ იმ შეზღუდვების შემოღებით, რომლებიც აუცილებელია ზედამხედველობის სიმტკიცის უზრუნველყოფისა და დაწესებულებაში ერთად ცხოვრების სათანადო წესების დაცვისათვის.

28.1. მსჯავრდადებულები არ უნდა დაინიშნონ დისციპლინარული წესით დაწესებულების მომსახურების სამუშაოებზე.

28.2. მაგრამ ეს წესი არ კრძალავს თვითმმართველობის საჭირო სისტემის ფუნქციონირებას, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა გარკვეული სახის სოციალურ, აღმზრდელობით ან სპორტულ მოღვაწეობაზე ეკისრებათ მსჯავრდადებულებს, რომლებიც ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ მათი გამოსწორების მიზნით შექმნილი ჯგუფების შემადგენლობაში.

29. შემდეგი ფაქტები ყოველთვის უნდა განისაზღვრებოდეს კანონით ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ხელისუფლების განკარგულებით:

ა) დისციპლინარული დარღვევის შემცველი მოქმედება;

ბ) მსჯავრდადებულის დასჯისათვის განკუთვნილი სასჯელის სახე და ხანგრძლივობა;

გ) ორგანო, რომელსაც უფლება აქვს დაადოს სასჯელი.

---

[1] დისციპლინა - არის მსჯავრდადებულთა ქცევის წესი, რომელიც პასუხობს სასჯელ-აღსრულებითი საპართლისა და მორალის ნორმებს, აგრეთვე დაწესებულების ადმინისტრაციის კანონიერ მოთხოვნებს.დისციპლინა - არის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მსჯავრდადებულთა ყოფის საჭირო პირობა, რისი წყალობითაც მათი ქცევა ღებულობს მოწესრიგებულ ხასიათს. სასჯელის მოხდის დისციპლინარული წესები ქმნიან რეჟიმის გამასწორებელ მხარეს. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ: გამასწორებელ დაწესებულებაში მსჯავრდადებულთა გადაადგილება მწყობრში; მსჯავრდადებულთა ურთიერთობა პერსონალთან და ერთმანეთთან; მათ მიერ დღის წესრიგის დაცვა, პირადი ბარათით სარგებლობა და სხვა.

30.1. სასჯელის დადება შეიძლება მხოლოდ ამგვარი კანონის ან განკარგულების შესაბამისად, ამასთან, ერთ მსჯავრდადებულს არ უნდა დაედოს განმეორებითი სასჯელი იმავე დანაშაულისათვის.

30.2. არც ერთი მსჯავრდადებულის დასჯა არ შეიძლება ისე, თუ მას არ ეცნობა ჩადენილი დანაშაულის შესახებ და არ მიეცა საშუალება გაიმართლოს თავი. კომპეტენტურმა ხელისუფლებამ ყოველგვარი ამგვარი საქმე ყურადღებით უნდა განიხილოს.

30.3. იქ, სადაც საშუალება არსებობს, მსჯავრდადებულს უნდა მიეცეს საშუალება თავი დაიცვას თარჯიმნის მეოხებით.

31[1]. დისციპლინარული დანაშაულისათვის აკრძალულია სხეულის დამაზიანებელი სასჯელის გამოყენება, ბნელ საკანში მოთავსება, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი სასჯელების გამოყენება.

32.1. სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს მკაცრ დამწყვდევას ან კვების შემცირებას, შეიძლება დაედოს მსჯავრდადებულს მხოლოდ სამედიცინო შემოწმების შემდეგ. ექიმმა წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ მსჯავრდადებულს შეუძლია ამგვარი სასჯელის ატანა.

32.2. იგივე ეხება სასაჯელის ისეთ ფორმებს, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მსჯავრდადებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ მდგომარეობას. ამგვარი სასჯელების გამოყენება

---

[1] ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლისა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის მიხედვით იკრძალება წამება, მკაცრი, არაადამიანური ან ადამიანის ღირსების შემლახავი მოპყრობა და სასჯელი. ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მიხედვით ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. აღნიშნული აკრძალვა უნდა ჩაიდოს იმ ინსტრუქციებში, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემაში მომუშავე თანამდებობის პირთა ფუნქციებსა და მოვალეობებს.

არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს 31-ე წესის დებულებებს ან არ უნდა წარმოადგენდეს მათგან გადახრას.

32.3. ექიმმა ყოველდღიურად უნდა მოინახულოს მსჯავრდადებული, რომელსაც ადევს ამგვარი სასჯელი, და თუ თვლის, რომ მისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო აუცილებელია სასჯელის გამოყენების შეწყვეტა ან შეცვლა, უნდა აცნობოს დირექტორს..

ალაგმვის საშუალებანი

33. დასჯის დროს არასოდეს არ უნდა იქნეს გამოყენებული ალაგმვის ისეთი ხერხები, როგორებიცაა ხელბორკილები, ბორკილები, დასაწყნარებელი პერანგები ან ჯაჭვები. ამას გარდა, საერთოდ არ შეიძლება ბორკილების ან ჯაჭვების გამოყენება ალაგმვის დროს. სხვა საშუალებებით სარგებლობა შეიძლება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) ტრანსპორტირებისას გაქცევის მცდელობის შემთხვევაში იმ პირობით, რომ სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე წარდგენის დროს მსჯავრდადებული თავისუფლდება ბორკილებისაგან;

ბ) სამედიცინო ხასიათის მიზეზებით და ექიმის მითითებით;

გ) დირექტორის ბრძანებით, თუ სხვა საშუალება არ იმოქმედებს და როდესაც საჭიროა მსჯავრდადებულისათვის ხელის შეშლა რათა არ მიაყენოს ზიანი თავის თავს ან სხვებს, ან მიაყენოს მატერიალური ზარალი; ამ შემთხვევებში დირექტორი სასწრაფოდ უნდა მოეთათბიროს ექიმს და მოხსენება წარუდგინოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს.

34. ალაგმვის მეთოდები და საშუალებანი განისაზღვრება საპყრობილის ცენტრალური მმართველობის მიერ. არ შეიძლება ისინი გამოყენებული იქნენ იმაზე მეტად, ვიდრე ეს ნაკარნახევია აუცილებლობით.

მსჯავრდადებულთათვის ინფორმაციის მიწოდება და საჩივრის წარდგენა

35.1[1] საპყრობილეში მიღებისას თითოეულ მსჯავრდადებულს უნდა მიეცეს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც ეხება მისი კატეგორიის მსჯავრდადებულთა მოპყრობის წესებს, მოცემული დაწესებულების დისციპლინარულ მოთხოვნებს, ასევე ინფორმაციის მიღების და საჩივრის წარდგენის ნებადართულ საშუალებებს და სხვა საკითხებს, რაც დაეხმარება მათ გაიგონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი და შეეგუონ მოცემულ დაწესებულებაში ცხოვრების პირობებს.

35.2. წერა-კითხვის უცოდინარი მსჯავრდადებულები ინფორმირებული უნდა იყვნენ ზეპირად.

36.1[2] ყოველ მსჯავრდადებულს საშუალება უნდა ჰქონდეს სამუშაო დღეებში განცხადებებით ან საჩივრებით მიმართოს დაწესებულების დირექტორს ან მის უფლებამოსილ ხელქვეითს.

36.2. ინსპექციის დროს მსჯავრდადებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ განცხადებით ან საჩივრით მიმართოს საპყრობილის ინსპექტორებს. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ ესაუბრონ ინსპექტორს ან ინსპექციის რომელიმე სხვა თან-

---

[1] ეს წესი პირველყოვლისა მიმართულია თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არსებულ ცხოვრების პირობებში მსჯავრდადებულის ადაპტაციისათვის. მსჯავრდადებულის მიერ თავისი უფლებებისა და მოვალეობების ცოდნა მნიშვნელოვნად შეამცირებს დაწესებულების პერსონალთან შესაძლებელი კონფლიქტების რიცხვს.

[2] აღნიშნული წესი გამოდის მსჯავრდადებულის სამართლებრივი სტატუსის ერთ-ერთ გარანტად. მისი მნიშვნელობა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ამშრომელს დირექტორისა ან დაწესებულების სხვა თანამშრომლის თანდასწრების გარეშე.

36.3. ყოველ მსჯავრდადებულს უფლება უნდა ჰქონდეს მიმართოს საპყრობილის ცენტრალური მმართველობის ორგანოებს, სასამართლო ხელისუფლებას ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებს განცხადებებით ან საჩივრებით, რომლებიც არ გაივლიან ცენზურას შინაარსის თვალსაზრისით, მაგრამ შედგენილი უნდა იყოს დადგენილი ფორმით და გადაიცეს დაწესებული გზებით.

36.4. გარდა შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი განცხადებები და საჩივრები ზედამბირული ან უსაგნო ხასიათისაა, ისინი სასწრაფოდ უნდა იქნეს განხილული და მათზე დაუყოვნებლივ უნდა გაეცეს პასუხი.

გარე სამყაროსთან კონტაქტები

37[1]. მსჯავრდადებულთ საშუალება უნდა ჰქონდეთ რეგულარული შუალედების შემდგომ იქონიონ კავშირი ოჯახებთან ან შეულახავი რეპუტაციის მქონე მეგობრებთან წერილობით, ასევე პაემანის მეშვეობით.

---

[1] წესს აქვს მიზანი შეუნარჩუნოს მსჯავრდადებულს კავშირი როგორც ოჯახთან, ასევე ახლო ნათესავებთან და მეგობრებთან, რაც იქნება მტკიცე საფუძველი მათი რესოციალიზაციისათვის.

38.1[1] უცხოელი მსჯავრდადებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ მათი ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულოთა წარმომადგენლებთან კავშირით.

38.2. მსჯავრდადებულებს, რომელნიც იმ ქვეყნის მოქალაქენი არიან, რომელთაც არა აქვთ მოცემულ ქვეყანაში დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობა, ასევე ლტოლვილებსა და იმ პირთ, რომელთაც არა აქვთ მოქალაქეობა, საშუალება უნდა მიეცეთ კავშირი იქონიონ იმ სახელმწიფო დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, რომელმაც თავის თავზე აიღო მათი ინტერესების დაცვა, ან ნებისმიერ ეროვნულ ან საერთაშორისო ორგანოსთან, რომელიც იცავს მათ.

39. მსჯავრდადებულები რეგულარულად უნდა ეცნობოდნენ ყველა მნიშვნელოვან ახალ ამბავს. მათ ნება უნდა დაერთოთ იკითხონ გაზეთები, ჟურნალები ან განსაკუთრებული საპყრობილის გამოცემები, უსმინონ რადიოს და დაესწრონ ლექციებს, ან ისარგებლონ სხვა საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და გაკონტროლებული იქნება ადმინისტრაციის ორგანოების მიერ.

---

[1] აღნიშნული წესი უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს უქმნის თავისი ქვეყნის დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებთან კავშირის გარანტიას. საბოლოოდ ყოველივე მიმართულია მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოცემული გარანტიები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ, დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ მოწვეულ გაეროს კონგრესზე შემუშავებული უცხოელ მსჯავრდადებულებთან მოპყრობის შესახებ რეკომენდაციების შესაბამისად. ამ რეკომენდაციების შესაბამისად უცხოელი მსჯავრდადებულები დაუყოვნებლივ უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი მათ დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებთან კონტაქტით. ამავე რეკომენდაციების მე-7 პუნქტის მიხედვით მსჯავრდადებულ უცხოელ მოქალაქეებს დახმარება უნდა გაეწიოთ იმ ენაზე, რომელიც მათთვის გასაგებია.

წ ი გ ნ ე ბ ი

40. ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა როგორც გასართობი, ისე შემეცნებითი ხასიათის ლიტერატურის შემცველი და ხელმისაწვდომი ყველა კატეგორიის მსჯავრდადებულთათვის. ყველა მსჯავრდადებული უნდა იქნეს წახალისებული, რათა მან ისარგებლოს ბიბლიოთეკით.

რ ე ლ ი გ ი ა

41.1[1] დაწესებულებებში, სადაც ერთი და იგივე აღმსარებლობის მსჯავრდადებული საკმაოდ დიდი რაოდენობითაა, უნდა დაინიშნოს შესაბამისი რელიგიური კულტის კვალიფიცირებული მსახური ან ნება დაერთოს მას აღასრულოს შესაბამისი რელიგიური წესები. თუ ამგვარ მსჯავრდადებულთა რიცხვი საკმაოდ დიდია და არსებობს საშუალებანი, სასულიერო პირი უნდა დაინიშნოს მუდმივ სამსახურში.

---

[1] წესი არეგულირებს პიროვნების ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, როგორიცაა სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. აღნიშნული უფლება აძლევს ადამიანს საშუალებას, აირჩიოს თუ როგორ შეაფასოს თავისი აზრები და ქცევა. ეს იქნება რელიგიური დოგმებითა და პოსტულატებით თუ მათი იგნორირებით. სინდისის თავისუფლების მნიშვნელობაზე საუბარია ძირითად საერთაშორისო აქტებში, სადაც ხაზგასმულია მისი უზრუნველყოფის აუცილებლობა ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში. ასე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948 წ.) მე-18 მუხლსა და საშოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (1966 წ.) მე-18 მუხლში ხაზგასმულია ყოველი ადამიანის უფლება სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაზე...

41.2. პირველი პუნქტის თანახმად დანიშნულ ან დაშვებულ სასულიერო პირს საშუალება უნდა ჰქონდეს რეგულარულად აღასრულოს რელიგიური წესები და განკუთვნილ დროს პერიოდულად მოინახულოს მისი აღმსარებლობის მსჯავრდადებულები რელიგიურ თემებზე საუბრისათვის.

41.3. მსჯავრდადებულებს არ უნდა აეკრძალოთ ნებისმიერი აღმსარებლობის კვალიფიციურ წარმომადგენლებთან ურთიერთობა. მეორე მხრივ, თუ მსჯავრდადებული პროტესტს აცხადებს სასულიერო პირის მიერ მისი მონახულების გამო, მის სურვილს უნდა მოეკიდონ პატივისცემით.

42. შესაძლებლობის ფარგლებში ყველა მსჯავრდადებულმა უნდა დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილებანი, მონაწილეობა მიიღოს დაწესებულებაში მიმდინარე რელიგიურ რიტუალებში და თავის განკარგულებაში ჰქონდეს მისი აღსრულებისათვის დამახასიათებელი რელიგიური ლიტერატურა.

მსჯავრდადებულთა ქონების შენახვა

43.1. ფული, ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი და სხვა ქონება, რომელთაც არსებული წესების მიხედვით თან ვერ იქონიებს მსჯავრდადებული, მისი დაწესებულებაში მიღებისას ბარდება შესანახად. ქონების ნუსხას ხელს აწერს მსჯავრდადებული. საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა მსჯავრდადებულთა ქონება შენახული იქნეს საიმედოდ.

43.2. მოცემული დაწესებულებიდან მსჯავრდადებულის გათავისუფლების დროს მას უბრუნდება კუთვნილი ფული გარდა იმ თანხისა, რომლის დახარჯვის უფლებაც მას მიეცა, ნივთებისა, რომლებიც გააგზავნა დაწესებულების გარეთ ნებართვის თანახმად ან ტანსაცმლისა, რომელიც განადგურდა სანიტარული მიზეზებით. მსჯავრდადებული ხელის

მოწერით ადასტურებს მისთვის კუთვნილი ფულის ან ნივთების მიღებას.

43.3. იგივე ეხება ყველა ფულად სახსარსა და ნივთს, რომელთაც მსჯავრდადებული იღებს მოცემულ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში.

43.4. თუ მსჯავრდადებულს თან აქვს წამლები ან სხვა სამედიცინო პრეპარატები, მათ შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ექიმი.

გარდაცვალების, ავადმყოფობის, გადაადგილების შესახებ და ა.შ. შეტყობინება

44.1. გარდაცვალების, სერიოზული დაავადების, დაჭრის ან ფსიქიურად დაავადებულთა დაწესებულებაში მსჯავრდადებულთა გადაყვანის შემთხვევაში დირექტორი დაუყოვნებლივ აცნობებს მსჯავრდადებულის ცოლს ან ქმარს, თუ ასეთნი არსებობენ, მის უახლოეს ნათესავს ან ყოველ შემთხვევაში, პირს, რომელზედაც ადრე მიუთითა მსჯავრდადებულმა.

44.2. მსჯავრდადებულს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნებისმიერი მისი უახლოესი ნათესავის გარდაცვალების ან სერიოზული ავადმყოფობის შესახებ. ახლო ნათესავის სერიოზული ავადმყოფობის შემთხვევაში მსჯავრდადებლს ნება უნდა დაერთოს, თუ ამის საშუალებას იძლევა გარემოებანი, მოინახულოს იგი დაცვის თანხლებით ან დამოუკიდებლად.

44.3 ყოველ მსჯავრდადებულს უფლება აქვს დაუყოვნებლივ აცნობოს ოჯახის წევრებს თავისი დაავადების ან სხვა სახის დაწესებულებაში გადასვლის შესახებ.

მსჯავრდადებულთა გადაადგილება

45.1. როდესაც მსჯავრდადებულები გადაჰყავთ თავისუფლების აღკვეთის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, მაქსიმალურად უნდა იყვნენ მოფარებული უცხო თვალს. მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა მსჯავრდადებულები დაიცვან შეურაცხყოფის, ცნობისმოყვარეობის გამოვლენის და ნებისმიერი სახის გახმაურებისაგან.

45.2. აკრძალულია მსჯავრდადებულთა გადაყვანა არასაკმარისი ვენტილაციის, განათების ან ფიზიკურად მძიმე ასატან ნებისმიერ სხვა პირობებში.

45.3. მსჯავრდადებულთა გადაადგილება ხდება მმართველობის ხარჯით, ამასთან, მათი გადაადგილება ხდება ყველასათვის ერთნაირ პირობებში.

დაწესებულებათა პერსონალი

46[1].1. საპყრობილის მმართველობამ უნდა იზრუნოს ყველა კატეგორიის პერსონალის შერჩევაზე, რადგან ამგვარ დაწესებულებათა კარგი მუშაობა დამოკიდებულია მის თანამშრომელთა კეთილსინდისიერებაზე.

46.2. საპყრობილის ადმინისტრაციამ განუხრელად უნდა ჩაუნერგოს რწმენა თავის თანამშრომლებს და საერთოდ, საზოგადოებრიობას, რომ ისინი ასრულებენ დიდ, საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამუშაოს. ამ რწმენის განმტკიცებისათვის უნდა გამოიყენოს ინფორმაციის საშუალებანი.

---

[1] აღნიშნულ წესში პოულობს თავის ასახვას მართლწესრიგის დამცავი თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსის(1979 წ.) პირველი მუხლის შინაარსი, სადაც ხაზგასმულია ასეთ პირთა დიდი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე. სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში მუშაობისათვის შერჩეული უნდა იქნეს პიროვნება, რომელიც გაივლის სპეციალურ მომზადებას.

46.3. ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად საპყრობილის ადმინისტრაციის თანამშრომლები უნდა დაინიშნონ სრული სამუშაო დროით საპყრობილის ადმინისტრაციის სპეციალიზებული თანამშრომლის თანამდებობაზე. მათ აქვთ სახელმწიფო მოხელეთა სტატუსი და დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სამუშაო ადგილი შეუნარჩუნდებათ სანიმუშო ყოფაქცევის, მუშაობის ეფექტურობის და მათზე დაკისრებული ამოცანების აღსრულებისათვის საჭირო ფიზიკური უნარიანობის საფუძველზე. ხელფასი იმ რაოდენობის უნდა იყოს, რომ მიიზიდოს ამგვარ სამუშაოზე სხვა პირებიც. მხედველობაში თუ მივიღებთ მოცემული სამუშაოს განსაკუთრებულ მძიმე პირობებს, ეს პირები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაბამისი შეღავათებით და შრომის პირობებით.

47.1. პერსონალი უნდა იყოს საკმარისად განათლებული და განვითარებული.

47.2. მუშაობის დაწყებამდე პერსონალი უნდა მომზადდეს მისი საერთო და კონკრეტული ვალდებულებების აღსრულებისათვის, რის შემდეგაც უნდა მოეთხოვოთ გამოცდების ჩაბარება თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში.

47.3. მუშაობის დაწყების შემდეგ და მთელი მერმინდელი მოღვაწეობის მანძილზე თანამშრომლებმა უნდა შეინარჩუნონ და აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია. სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ გაიარონ დროის შესაფერის შუალედებში ორგანიზებული მოსამზადებელი კურსები.

48. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე ყველა თანამშრომელს თავი იმგვარად უნდა ეჭიროს და ისე უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას, რომ მსჯავრდადებულთათვის მისაბაძი იყოს და მოიპოვოს მათი პატივისცემა.

49.1. შესაძლებლობის მიხედვით პერსონალისათვის განკუთვნილ შტატებში უნდა შედიოდეს საჭირო სპეციალისტთა საკმარისი რაოდენობა, კერძოდ - ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და სახელოსნო დარგის მასწავლებლები.

49.2. სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და სახელოსნო დარგის მასწავლებლები უნდა დაინიშნონ მუდმივი თან-

ამშრომლების სახით. ამასთან, არ უნდა უგულებელვყოთ პირნი, რომელნიც მუშაობენ არასრული სამუშაო დღის განმავლობაში და ნებაყოფლობითი თანამშრომლები.

50.1. დაწესებულების დირექტორის თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ხასიათის, ადმინისტრაციული მონაცემების, მომზადების და გამოცდილების თვალსაზრისით კვალიფიციური პირი.

50.2. დირექტორმა მთელი თავისი დრო უნდა მოახმაროს მასზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულებას, იმუშაოს სრულ სამუშაო განაკვეთზე.

50.3. მან უნდა იცხოვროს ან მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულების ტერიტორიაზე ან მახლობლად.

50.4. როდესაც ერთსა და იმავე დირექტორს ეკისრება ორი ან რამდენიმე დაწესებულების ხელმძღვანელობა, მან თითოეული მათგანი უნდა მოინახულოს ხშირ-ხშირად. თითოეული დაწესებულების ხელმძღვანელობა დაევალება ადგილზე მცხოვრებ პასუხისმგებელ თანამშრომელს.

51.1. დირექტორმა, მისმა მდივანმა და თანამშრომლების უმეტესობამ უნდა იცოდნენ ენა, რომელზედაც საუბრობს მსჯავრდადებულთა უმეტესობა ან ენა, რომელიც გასაგებია მსჯავრდადებულთა უმეტესობისათვის.

51.2. აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ისარგებლონ თარჯიმნის დახმარებით.

52.1. დაწესებულებებში, რომელთა ფართობი ამართლებს სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთი ან რამდენიმე ექიმის ყოფნას, უკიდურეს შემთხვევაში ერთი მათგანი მაინც უნდა ცხოვრობდეს ადგილზე ან დაწესებულების ახლოს.

52.2. სხვა დაწესებულებებს ექიმი უნდა ეწვიოს ყოველდღე, ამასთან, ის უნდა ცხოვრობდეს მახლობლად, რათა კრიტიკულ შემთხვევებში შეიძლებოდეს მისი დაუყოვნებლივ გამოძახება.

53.1. დაწესებულებებში, სადაც ჰყავთ როგორც ქალები, ისე მამაკაცები, ქალთა განყოფილების ხელმძღვანელობა ეკისრება მდედრობითი სქესის პასუხისმგებელ თანამშ-

რომელს. მას აქვს გასაღები, რომლითაც იღება მოცემული განყოფილების შესასვლელი.

53.2. მამრობითი სქესის თანამშრომლები ქალთა განყოფილებაში დაიშვებიან მხოლოდ მდედრობითი სქესის თანამშრომელთა თანხლებით.

53.3. მსჯავრდადებულ ქალებზე ზედამხედველობა და მათზე ზრუნვა ევალებათ მდედრობითი სქესის თანამშრომლებს. ამასთან ეს ხელს არ უნდა უშლიდეს მამრობითი სქესის თანამშრომლებს, კერძოდ - ექიმებს და მასწავლებლებს, აღასრულონ პროფესიული მოვალეობანი ქალთა დაწესებულებებში.

54.1. პერსონალმა მსჯავრდადებულებთან მოპყრობისას ძალადობას შეიძლება მიმართოს მხოლოდ თავდაცვის მიზნით ან გაქცევის მცდელობის დროს. აგრეთვე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსჯავრდებული აქტიურად ან პასიურად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონებს ან წესებზე დაფუძნებული ბრძანებების შესრულებას. თანამშრომლები, რომლებიც მიმართავენ ძალადობას, მიღებულ ფარგლებს არ უნდა გასცდნენ, ამასთან, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ მომხდარი ინციდენტის შესახებ დირექტორს.

54.2. საპყრობილის თანამშრომლებმა უნდა გაიარონ განსაკუთრებული ფიზიკური მომზადება, რომელიც საშუალებას მისცემს მათ საჭიროების შემთხვევაში ალაგმონ მსჯავრდებულთა აგრესიულობა.

54.3. თანამშრომლებმა, რომელნიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ მსჯავრდებულებთან უშუალო კონტაქტში, იარაღი უნდა ატარონ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ამასთან, იარაღის ტარების უფლება აქვს თანამშრომელს, რომელმაც გაიარა შესაბამისი მომზადება.

55. პენიტენციარული დაწესებულებების და სამსახურების ინსპექცია უნდა განხორციელდეს რეგულარულად კომპეტენტური ხელისუფლების მიერ დანიშნული კვალიფიციური და გამოცდილი ინსპექტორების მიერ. კერძოდ, ინსპექტორები უნდა დარწმუნდნენ იმაში, რომ თავისუფლების აღკვეთის ადგილების მართვა ხდება მოქმედი კანონების და მითითებების შესაბამისად, და რომ მათი მუშაობა უნდა შეესატყვისებოდეს პენიტენციარული და გამოსასწორებელი სამსახურების წინაშე დასახულ ამოცანებს.

ნაწილი მეორე

წესები განსაკუთრებული კატეგორიის მსჯავრდადებულთა მიმართ

ა. გასამართლებული მსჯავრდადებულები

სახელმძღვანელო პრინციპები

56. ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელო პრინციპები ასახავენ, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს პენიტენციარული დაწესებულებების მართვა; ასახავენ მიზნებს, რომელთა განხორციელებასაც უნდა ესწრაფვოდნენ მოცემული წესების პირველი ნაწილის წინასწარი შენიშვნის თანახმად.

57. თავისუფლების აღკვეთა და სასჯელის სხვა ზომები, რომლებიც ახდენენ სამართალდამრღვევის გარე სამყაროსაგან იზოლაციას, აყენებენ მას ტანჯვას უკვე იმიტომ, რომ ართმევენ თვითგამორკვევის უფლებას, რადგან მოკლებულია თავისუფლებას. ამიტომ, თუ სეგრეგაცია არ არის გამართ-

ლებული, ან თუ ამას არ ითხოვს დისციპლინა, საპყრობილის სისტემა არ უნდა აძლიერებდეს მოცემული დებულებიდან გამომდინარე ტანჯვას.

58. თავისუფლების აღკვეთის მიზანი და გამართლება არის საბოლოო ჯამში საზოგადოების დაცვა და საზოგადოებისათვის სახიფათო დანაშაულებათა აღკვეთა. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისუფლების აღკვეთის ვადის გასვლისა და ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნების დროს სამართალდამრღვევი იქნება არა მარტო მომზადებული, არამედ მას ექნება უნარი დაემორჩილოს კანონმდებლობას და უზრუნველყოს თავისი არსებობა.

59. ამისათვის დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ყველა გამოსასწორებელი, აღმზრდელობითი, მორალური და სულიერი ძალები, დახმარების საშუალებანი, რომელიც ითვლება მისაღებად. მათი გამოყენება უნდა მოხდეს თითოეული მსჯავრდადებულის გამოსწორებისათვის საჭირო მოთხოვნათა გათვალისწინებით.

60.1. დაწესებულებაში მიღებული რეჟიმი მოწოდებული უნდა იყოს მინიმუმამდე შეამციროს განსხვავება საპყრობილეში ცხოვრებასა და საპყრობილის გარეთ ცხოვრებას შორის, რაც არ ჩაკლავს მსჯავრდადებულებში პასუხისმგებლობისა და ადამიანური ღირსების გრძნობას.

60.2. სასურველია, რომ თავისუფლების აღკვეთის ვადის დასასრულისათვის მიღებული იქნეს ზომები მსჯავრდადებულის საზოგადოებაში თანდათანობით დაბრუნებისათვის. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება თითოეული სამართალდამრღვევის თავისებურებათა გათვალისწინებით. დაწესებულებაში მსჯავრდადებულთათვის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღებით, ან მსჯავრდადებულთა გათავისუფლებით გამოსაცდელი ვადით, რომლის განმავლობაში ისინი ზედამხედველობის ქვეშ არიან, მაგრამ იმ პირობით, რომ ზედამხედველობა არ ეკისრება საპოლიციო ხელისუფლებას და შეესაბამება ეფექტიან სოციალურ დახმარებას.

61. მსჯავრდადებულებთან მოპყრობისას ხაზი უნდა გაესვას არა მათ გამოთიშვას საზოგადოებიდან, არამედ იმ

გარემოებას, რომ ისინი კვლავ რჩებიან საზოგადოების წევრებად; ამიტომ, ყოველთვის როცა ეს შესაძლებელია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უნდა თანამშრომლობდნენ საპყრობილის ადმინისტრაციასთან, მსჯავრდადებულთა საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. ყოველ დაწესებულებაში უნდა იყვნენ სოციალური მუშაკები, რომელნიც იზრუნებენ მსჯავრდადებულის ოჯახთან ურთიერთობების შენარჩუნებასა და განმტკიცებაზე, აგრეთვე მისთვის სარგებლობის მომტან სოციალურ ორგანიზაციებთან კავშირზე. ამასთან, მისაღებია ზომები, რათა მსჯავრდადებულებმა შეინარჩუნონ კანონთა და მათ განაჩენთა შესატყვისი უფლებების მაქსიმუმი სამოქალაქო ინტერესების, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა სოციალური შეღავათების სფეროში.

62. დაწესებულების სამედიცინო სამსახურებმა უნდა გამოავლინონ ყველა ფიზიკური და ფსიქიკური დაავადება ან ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლის მსჯავრდადებულის გამოსწორებას, და იზრუნონ მათი განკურნებისათვის. ამ მიზნით, დაწესებულებებს უნდა შეეძლოთ უზრუნველყონ აუცილებელი სამედიცინო, ქირურგიული და ფსიქიატრიული მომსახურება.

63.1. ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას მსჯავრდადებულთადმი, ამდენად საჭიროა მათი ჯგუფებად კლასიფიკაციის მოქნილი სისტემის არსებობა. ამიტომ სასურველია, ამგვარი ჯგუფები ერთად მოთავსდნენ სამუშაოდ გათვალისწინებულ სხვადასხვა დაწესებულებაში.

63.2. არ არის აუცილებელი ამგვარ დაწესებულებებში თითოეული ჯგუფისათვის უსაფრთხოების ერთი და იგივე ზომები. სასურველია ამ საშუალებათა სიმკაცრის გრადუირება ჯგუფების მიხედვით. გამოსწორებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები არსებობს ღია დაწესებულებებში, სადაც გაქცევათა თავიდან აცილების არა ფიზიკურ საშუალებებზეა აქცენტი გაკეთებული, არამედ თვითდისციპლინაზე.

63.3. სასურველია, რომ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდადებულთა რიცხვი არ იყოს ძალზე დიდი, რათა შესაძლებელი იყო ინდივიდუალური მიდგომა. ზოგ ქვეყანაში ითვლება, რომ მსჯავრდადებულთა რიცხვი 50 არ უნდა აღემატებოდეს. ღია დაწესებულებაში კი რაც შეიძლება ნაკლები მსჯავრდადებული უნდა იყოს.

63.4. მეორე მხრივ, საპყრობილეები უნდა იყოს საკმაო ფართობისა, რათა შესაძლებელი გახდეს საჭირო მომსახურების უზრუნველყოფა.

64. საზოგადოების ვალდებულებანი არ წყდება მსჯავრდადებულის გათავისუფლებისთანავე. ამიტომ უნდა არსებობდეს სახელმწიფო ან კერძო ორგანოები, რომელთაც შეეძლებათ იზრუნონ გათავისუფლებულ მსჯავრდადებულებზე, ებრძოლონ დამახინჯებულ წარმოდგენებს, რომელთა მსხვერპლნიც არიან მსჯავრდადებულნი და დაეხმარონ მათ ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობა

65. თავისუფლებაღკვეთილ ან სხვა მსგავს მსჯავრდადებულებთან მოპყრობისას, თავისუფლების აღკვეთის ვადის გათვალისწინებით, მათ უნდა ჩაუნერგონ სურვილი კანონზე დამორჩილებისადმი რათა უზრუნველყონ თავიანთი არსებობა გათავისუფლების შემდგომ. მათთან მოპყრობამ უნდა აღძრას მსჯავრდადებულებში პირადი ღირსების გრძნობა და პასუხისმგებლობის შეგრძნება.

66.1. ამ მიზნით მიღებული უნდა იქნეს ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის - რელიგიური მომსახურება ქვეყნებში, სადაც ეს შესაძლებელია, სწავლება, პროფესიული მომზადება და ორიენტაცია, კონკრეტული სოციალური შემთხვევების შესწავლა, შრომითი მოწყობის სფეროში კონსულტაციები, ფიზიკური აღზრდა და ხასიათის განმტკიცება მსჯავ-

რდადებულის ინდივიდუალური მოთხოვნების, მისი სოციალური წარსულის, დანაშაულის ისტორიის, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების და უნარიანობის, ტემპერამენტის, თავისუფლების აღკვეთის ვადის და გათავისუფლების შემდგომ პერსპექტივების გათვალისწინებით.

66.2. ყოველი ხანგრძლივვადიანი მსჯავრდადებულის მიღებისთანავე დირექტორმა უმოკლეს დროში უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია წინა პუნქტში მითითებული საკითხების შესახებ. ამაში შედის შეძლებისდაგვარად ფსიქიატრიაში გარკვეული ექიმის მოხსენება მსჯავრდადებულის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ.

66.3. ეს მოხსენებანი და მსჯავრდადებულის შესახებ სხვა ცნობები უნდა ჩაერთოს მის პირად საქმეში. საქმე უნდა შეივსოს პერიოდულად ყველა ახალი ცნობებით და უნდა ინახებოდეს ისე, რომ პასუხისმგებელ მუშაკებს შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში ამ საქმით სარგებლობა.

კლასიფიკაცია და ინდივიდუალიზაცია

67. კლასიფიკაციის მიზნებია:

ა) მსჯავრდადებულთა განცალკევება იმ პირთაგან, რომელთაც თავიანთი დანაშაულებრივი წარსულის ან ხასიათის უარყოფითი თვისებების გამო შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ;

ბ) მსჯავრდადებულთა დაყოფა კატეგორიებად, რაც აადვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნების მიზნით მათთან მუშაობას.

68. სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდადებულებთან მუშაობა უნდა ჩატარდეს შეძლებისამებრ ან სხვადასხვა დაწესებულებაში ან ერთი და იმავე დაწესებულების სხვადასხვა განყოფილებაში.

69. ყოველი მსჯავრდადებულის მიღებიდან უმოკლეს დროში მისი ხასიათის შესწავლის საფუძველზე უნდა შე-

დგეს მასთან მუშაობის ინდივიდუალური პროგრამა, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს მისი ინდივიდუალური მონაცემები, მოთხოვნილებანი და მიდრეკილებანი.

შელავათები

70. ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს შელავათების სისტემა და უნდა შემუშავდეს სხვადასხვა კატეგორიის მსჯავრდადებულთან განსხვავებული მობყრობის მეთოდები, რათა შეეწყოს მათ კარგ ყოფაქცევას, განავითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა, გაუღვიძოს გამოსწორების ინტერესი და მიღწეული იქნეს თანამშრომლობა.

შრომა

71.1[1] შრომამ მსჯავრდადებულს ტანჯვა არ უნდა მიაყენოს.

71.2. ყველა მსჯავრდადებული ვალდებულია იშრომოს თავისი ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემების გათვალისწინებით, რომლებიც დამოწმებულია ექიმის მიერ.

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით შრომა თავისუფალია, კონსტიტუციური ნორმა ამ შემთხვევაში ასახავს ისეთი საერთაშორისო დოკუმენტების მითითებებს, როგორიცაა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ № 29 კონვენცია. კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით "იძულებითი ან სავალდებულო შრომა" ნიშნავს ისეთ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც სრულდება შემსრულებელის თანხმობის გარეშე, რომელიმე პირის მოთხოვნით სასჯელის გამოყენების დამუქრებით.

71.3. მსჯავრდადებულებმა უნდა შეასრულონ სასარგებლო სამუშაო, რომელიც საკმარისი უნდა იყოს სრული სამუშაო დღის შესავსებად.

71.4. მსჯავრდადებულთა შრომა უნდა იყოს იმგვარი, რომ აამაღლოს ან მისცეს მათ კვალიფიკაცია, რაც შესაძლებლობას მისცემს გათავისუფლების შემდეგ ხელი მოჰკიდონ პატიოსანი შრომას.

71.5. მსჯავრდადებულები, განსაკუთრებით არასრულწლოვნები, უნდა დაეუფლონ სასარგებლო ხელობებს.

71.6. მსჯავრდადებულებს საშუალება უნდა ჰქონდეთ აირჩიონ სამუშაო, თუ ეს შეესაბამება ხელობის სწორად არჩევას, დაწესებულების დისციპლინას და მმართველობის მოთხოვნებს.

72.1. დაწესებულებაში მუშაობის ორგანიზაცია და მეთოდები მაქსიმალურად უნდა უახლოვდებოდეს მეთოდებს, რომლებიც მიღებულია საპყრობილის გარეთ, რათა მსჯავრდადებული შეეჩვიოს საპყრობილის გარეთ არსებულ შრომის პირობებს.

72.2. მაგრამ მსჯავრდადებულთა ინტერესები და მათი პროფესიული მომზადება არ უნდა დაეშორჩილოს საპყრობილის წარმოებიდან მოგების მიღების ინტერესებს.

73.1. საპყრობილის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელმძღვანელობა უმჯობესია დაეკისროს საპყრობილის მმართველობას და არა კერძო მოიჯარეებს.

73.2. მსჯავრდადებულები, რომლებიც ასრულებენ სამუშაოს დაწესებულების ფარგლებს გარეთ, თანამშრომელთა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყვნენ. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრდადებული მუშაობს სხვა სახელმწიფო დაწესებულებისათვის, სამუშაოთა მომცემმა შესაბამისი მუშაობისათვის უნდა გადაუხადოს სრული ხელფასი, ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს მსჯავრდადებულთა შრომის ნაყოფიერება.

74.1. თავისუფლებაში მყოფ მუშათა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების წესები გამოყენებული უნდა იყოს საპყრობილეშიც.

74.2. წარმოებაში დაშავების ან თავისუფლების აღკვეთის პერიოდში პროფესიული დაავადების შემთხვევაში მსჯავრდადებულებს ეძლევათ კომპენსაცია. ამ კომპენსაციის პირობები არანაკლებ ხელსაყრელი უნდა იყოს, ვიდრე კანონით გათვალისწინებული თავისუფლებაში მყოფ მუშათა კომპენსაციის პირობები.

75.1. სამუშაო დღის ან კვირის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება კანონით ან ადმინისტრაციული დადგენილებით, თავისუფლებაში მყოფ მუშათა შრომის პირობების სფეროში არსებული წესებისა და ადგილობრივი ადათების გათვალისწინებით.

75.2. სამუშაო დრო ისე უნდა განაწილდეს, რომ მსჯავრდადებულებს ჰქონდეთ სულ მცირე ერთი დასვენების დღე კვირაში და განსაზღვრული დრო სწავლისათვის, გამოსწორებისა და სხვა მოღვაწეობისათვის.

76.1. თავისი შრომისათვის მსჯავრდადებულებმა უნდა მიიღონ სამართლიანი ანაზღაურება გარკვეული სისტემის ფარგლებში.

76.2. ამ სისტემის თანახმად მსჯავრდადებულს უფლება აქვს დახარჯოს უკიდურეს შემთხვევაში ხელფასის ნაწილი ნებადართული პირველადი საჭიროების საგნების შეძენისათვის და ნაწილი გაუგზავნოს ოჯახს.

76.3. ეს სისტემა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ხელფასის ნაწილი ინახება ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ამ დანაზოგს გადასცემს მსჯავრდადებულს გათავისუფლების დროს.

77.1[1] მსჯავრდადებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შემდგომი განათლების მიღებით, რელიგიური განათლების ჩათვლით, ქვეყნებში, სადაც ამგვარი რამ დაშვებულია. აუცილებელია წერა-კითხვის უცოდინართა და ახალგაზრდობის განათლება; საპყრობილის ადმინისტრაციამ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

77.2. მსჯავრდადებულთა განათლება შეძლებისამებრ უნდა უკავშირდებოდეს ქვეყნის განათლების სისტემას, რათა გათავისუფლების შემდგომ მსჯავრდადებულმა დაბრკოლებების გარეშე შეძლოს განათლების მიღება.

78. ყველა დაწესებულებაში მსჯავრდადებულები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ დასვენებითა და კულტურული მოღვაწეობით მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინტერესებიდან გამომდინარე.

ურთიერთობა გარე სამყაროსთან და ზრუნველობა გათავისუფლების შემდგომ

79. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახთან კავშირის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, რაც ორივე მხარის ინტერესებს შეესაბამება.

80. სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე საჭიროა ფიქრი მსჯავრდადებულის მომავალზე. ამიტომ მხარი უნდა დაეჭი-

---

[1] მსჯავრდადებულთა განათლების ორგანიზება, მათი პროფესიონალური დონის ამაღლება არის სასჯელის მოხდის პერიოდში ძირითადი პროფილაქტიკური ხერხი, ამაყდროულად უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ზრდის თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან მათი გათავისუფლების შემდეგ სოციალურ ადაპტაციას. საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის შესაბამისად ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

როს და განმტკიცდეს მისი კავშირი საპყრობილის გარეთ მყოფ იმ პირებთან და დაწესებულებებთან, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან მისი ოჯახის ინტერესები და ხელი შეუწყონ გათავისუფლების შემდეგ მის ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

81.1. სახელმწიფო ან სხვა ორგანოებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც დახმარებას უწევენ მსჯავრდადებულებს, უნდა იზრუნონ, რომ იქ, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია, მსჯავრდადებულებმა მიიღონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და სხვა აუცილებელი დოკუმენტები, შეეძლოთ ბინისა და სამუშაოს შოვნა, ჰქონდეთ მოცემული კლიმატისა და წელიწადის დროისათვის შესატყვისი ტანისამოსი და ჰქონდეთ საკმარისი სახსრები თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გათავისუფლების შემდგომ საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობისათვის.

81.2. ამგვარ დაწესებულებათა აკრედიტირებულ წარმომადგენლებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მოინახულონ საპყრობილეები და მსჯავრდადებულები. სასჯელის დაწყებიდანვე მათთან უნდა მოეწყოს კონსულტაციები მსჯავრდადებულთა შემდგომი ცხოვრების შესახებ.

81.3. სასურველია, რომ ამგვარ დაწესაბულებათა მუშაობა შესაძლებლობის ფარგლებში ცენტრალიზებული ან კოორდინირებული იყოს, რათა უზრუნველყოფილი გახდეს მათი მუშაობის მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება.

ბ. სულით ავადმყოფი და გონებრივად ჩამორჩენილი მსჯავრდადებულები

82.1. სულით ავადმყოფებად მიჩნეული პირები არ უნდა იქნენ თავისუფლებააღკვეთილნი. მიღებული უნდა იქნეს ზომები მათ საჩქაროდ გადასაყვანად სულით ავადმყოფთა დაწესებულებებში.

82.2.სხვა ფსიქიკური დაავადებებით ან ნაკლოვანებებით დაავადებული მსჯავრდადებულები აყვანილი უნდა იქნენ

მეთვალყურეობის ქვეშ და ექიმთა ხელმძღვანელობით განიკურნონ სპეციალურ დაწესებულებებში.

§2.3. ამგვარი მსჯავრდადებულები საპყრობილეში უნდა იმყოფებოდნენ განსაკუთრებული საექიმო მეთვალყურეობის ქვეშ.

§2.4. პენიტენციარულ დაწესებულებებთან არსებულმა სამედიცინო და ფსიქიატრიულმა სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ ყველა მსჯავრდადებულის ფსიქიკური განკურნება, რომელსაც სჭირდება ამგვარი მკურნალობის ჩატარება.

§3. სასურველია, აუცილებლობის შემთხვევაში, კომპეტენტურ დაწესებულებებთან თანამშრომლობით მიღებულ იქნეს ზომები გათავისუფლებული მსჯავრდადებულის ფსიქიატრიული მოვლის უზრუნველყოფისა და ასევე სოციალურ-ფსიქიატრიული მზრუნველობისათვის.

§. პატიმრობაში ყოფანილი ან სასამართლოს მოვლოდინე პირი

§4.1. პირნი, რომლებიც დაკავებულნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულის გამო და იმყოფებიან პოლიციის განყოფილებაში ან საპყრობილეში, მაგრამ ჯერ კიდეე არ არიან გამოძახებულნი სასამართლოზე და არ არიან გასამართლებულნი, ქვემორე წესებში იწოდებიან "გამოძიებაში მყოფ" პირებად.

§4.2. გამოძიებაში მყოფი პირები არ ითვლებიან დამნაშავეებად, ამიტომ მათ შესაბამისად უნდა მოეპყრონ.

§4.3. პიროვნების თავისუფლებასთან ან გამოძიებაში მყოფი პირებისადმი მოპყრობასთან დაკავშირებული პროცედურის დაცვის პირობით გამოყენებული უნდა იქნეს განსაკუთრებული რეჟიმი, რომლის ძირითადი წესები გადმოცემულია ქვემორე წესებში.

§5.1. გამოძიებაში მყოფი პირები უნდა იმყოფებოდნენ მსჯავრდადებულებთან განცალკევებით.

85.2. გამოძიებაში მყოფი არასრულწლოვანი პირები უნდა იმყოფებოდნენ მოზრდილთაგან განცალკევებით ან ცალკე დაწესებულებაში.

86. ღამით გამოძიებაში მყოფი პირები უნდა მოთავსდნენ ცალკე შენობებში. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე თავისებურებანი.

87. თუ ეს არ არღვევს დაწესებულებაში წესრიგს, მსჯავრდადებულს შეუძლია საკვები მიიღოს საკუთარი ხარჯებით საპყრობილის გარედან, ან საპყრობილის ადმინისტრაციის ორგანოების მეშვეობით, ან მისი ოჯახის ან მეგობრებისაგან, სხვა შემთხვევაში კვებას უზრუნველყოფს ადმინისტრაცია.

88.1. გამოძიებაში მყოფ მსჯავრდადებულებს უფლება აქვთ ატარონ სამოქალაქო ტანსაცმელი, იმ პირობით, რომ იგი უნდა იყოს სუფთა და ვარგისი.

88.2. თუ მსჯავრდადებული ატარებს საპყრობილეში დადგენილ ტანისამოსს, იგი უნდა განსხვავდებოდეს გასასამართლებელთა ტანისამოსისაგან.

89. გამოძიებაში მყოფ პირს ნება უნდა მიეცეს იმუშაოს, მაგრამ ეს არ არის აუცილებელი მოთხოვნა. თუ ამგვარი მსჯავრდადებული გადაწყვეტს იმუშაოს, მისი შრომა უნდა ანაზღაურდეს.

90. გამოძიებაში მყოფ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს საკუთარი სახსრებით ან მესამე პირთა ხარჯზე შეიძინოს წიგნები, გაზეთები, საწერი მოწყობილობანი და სხვა საგნები, რომლებიც დროის გატარების საშუალებას მისცემს, იმ პირობით, რომ ისინი შეესაბამება მართლმსაჯულების წარმართვას, უსაფრთხოების მოთხოვნებს და დაწესებულების ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას.

91. გამოძიებაში მყოფ პირს ნება უნდა დაერთოს საპყრობილეში ყოფნისას ისარგებლოს თავისი ექიმის ან კბილის ექიმის მომსახურებით, თუ მისი თხოვნა დასაბუთებულია და მას შეუძლია საკუთარი ხარჯებით დაფაროს მომსახურების საფასური.

92. გამოძიებაში მყოფ პირთ უნდა შეეძლოთ დაუყოვნებლივ აცნობონ ოჯახს დაპატიმრების შესახებ, ზომიერად ისარგებლონ ნათესავებთან და მეგობრებთან კონტაქტი შესაძლებლობით და მიიღონ ისინი საპყრობილეში; ამასთან დაკავშირებით განიცადონ მხოლოდ იმგვარი შეზღუდვები და ზედამხედველობა, რომელსაც მოითხოვს მართლმსაჯულების აღსრულება, უსაფრთხოება და დაწესებულების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფა.

93. თავის დაცვის მიზნით ამგვარ პირებს უფლება უნდა ჰქონდეთ მიმართონ უფასო იურიდიულ კონსულტაციას საპყრობილეში ყოფნისას მიიღონ იურიდიული მრჩეველი, რომელმაც თავის თავზე უნდა აიღოს მათი დაცვა. მოამზადოს და გადასცეს მას კონფიდენციალური ინსტრუქციები. ამისათვის მსჯავრდადებულებს უნდა ჰქონდეთ საწერი მოწყობილობანი. მსჯავრდადებულის შეხვედრა მის იურიდიულ მრჩეველთან უნდა მოხდეს პოლიციის ან საპყრობილის თანამშრომელთა თვალწინ, მაგრამ სმენის არეალის ფარგლებს გარეთ.

დ. სამოქალაქო საქმეებზე დაკავებულნი

94[1]. ქვეყნებში, სადაც კანონი ნებას რთავს პატიმრობაში აიყვანონ სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ნებისმიერი სხვა სამოქალაქო საქმის გამო, სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ უნდა მოეპყრონ იმაზე მეტად მკაცრად, ვიდრე ეს საჭირო მეთვალყურეობის და შესაბამისი წესრიგის დასაცავად. ამგვარი პირებისადმი მოპყრობა

---

[1] საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაპატიმრებას ან დაკავებას სამოქალაქო საქმეებში სავალო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

არანაკლებ ლმობიერი უნდა იყოს ვიდრე გამოძიებაში მყოფი პირებისადმი, იმ განსხვავებით, რომ მათი მუშაობა შეიძლება იყოს აუცილებელი.

ე. პირები, რომელნიც დაპატიმრეს ან საპროობილეში მოათავსეს ბრალდების წარდგენის გარეშე

95[1]. ბრალდების წარდგენის გარეშე დაპატიმრებული ან საპყრობილეში მოთავსებული პირებისათვის ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის დებულებათა დაზარალების გარეშე იგივე დაცვაა გათვალისწინებული, როგორიც "გ" განყოფილების I და II ნაწილებში მითითებული პირებისათვის, "ა" განყოფილების II ნაწილში მითითებული დებულებანი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ამას შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ამ განსაკუთრებული ჯგუფის მსჯავრდადებულებს, იმ პირობით, რომ გამოსწორების მეთოდები არ იქნება გამოყენებული იმ პირების მიმართ, რომელნიც არ არიან გასამართლებულნი სისხლის სამათლის დანაშაულისათვის.

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები

მიღებული და აღიარებულია გენერალური ასამბლეის 45/111 რეზოლუციით 1990 წლის 14 დეკემბერს

1. ყველა მსჯავრდადებული სარგებლობს პატივისცემით მათი ღირსებისა და როგორც ადამიანის მნიშვნელობის შესაბამისად.

2. დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა მრწამსის, ნაციონალური ან სოციალური წარმომადგენლობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა ნიშნის მიხედვით.

3. ყველა შემთხვევაში, როცა ამას ითხოვს ადგილობრივი პირობები სასურველია აგრეთვე პატივისცემა იმ ჯგუფის რელიგიური მრწამსისა და კულტურული ტრადიციებისათვის, რომელსაც მსჯავრდადებული მიეკუთვნება.

4. საპყრობილეები პასუხს აგებენ მსჯავრდადებულთა შენახვისათვის და რომელიმე სახელმწიფოს სხვა სოციალური მიზნების შესაბამისად სამართალდარღვევისაგან საზოგადოების დაცვისათვის და მისი ძირითადი ვალდებულებებით ხელი შეუწყოს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობასა და განვითარებას.

5. იმ შეზღუდვების გამოკლებით, რომელთა აუცილებლობა განპირობებულია საპყრობილეში მოთავსების ფაქტით, ყველა მსჯავრდადებული სარგებლობს ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტალური თავისუფლებებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში და იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი სახელმწიფო არის მონაწილე საერთაშორისო პაქტისა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, საეთაშორისო პაქტისა სამოქალაქო და პოლი-

ტიკური უფლებების შესახებ და მასთან არსებული ფაკულტატური პროტოკოლისა, აგრეთვე ისეთი სხვა უფლებებისა, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა პაქტებში.

6. ყველა მსჯავრდადებულს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა კულტურულ და საგანმანათლებლო საქმიანობაში, რომელიც მიმართულია პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისაკენ.

7. საჭიროა ისეთი ძალისხმევის მიმართვა და წახალისება, რითაც იკრძალება ან იზღუდება სასჯელის სახით განმარტოებით დამწყვდევის გამოყენება.

8. საჭიროა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მისცემს მსჯავრდადებულს საშუალებას აკეთოს სასარგებლო ასანაზღაურებელი სამუშაო, რაც გაადვილებს მათ რეინტეგრაციას მუშათა ბაზარზე და მისცემს შესაძლებლობას ფინანსურად უზრუნველყონ თავისი თავი და დახმარება გაუწიონ ოჯახს.

9. მსჯავრდადებულები სარგებლობენ სამედიცინო მომსახურეობით, როგორიც არსებობს ამავე ქვეყანაში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მათი იურიდიული მდგომარეობის მიუხედავად.

10. საზოგადოებისა და სოციალური ინსტიტუტების მონაწილეობითა და მხარდაჭერით, აგრეთვე დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით იქმნება ხელსაყრელი პირობები სასჯელისაგან გათავისუფლებული პირების საზოგადოებაში ნორმალური რეინტეგრაციისათვის.

11. ზემოთ ჩამოყალიბებული პრინციპები გამოიყენება ყოველთლგვარი მიკერძოების გარეშე.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ეფექტიანად განხორციელების პროცედურები

პ რ ო ც ე დ უ რ ა 1.

ყველა სახელმწიფო, რომელშიც ნებისმიერი სახით დაკავებული ან თავისუფლებაღკვეთილი პირების დაცვის ნორმები არ შეესაბამება მინიმალურ სტანდარტულ წესებს, ხელმძღვანელობს აღნიშნული წესებით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

1971 წლის 10 დეკემბერს მიღებულ 2858 (XXVI) რეზოლუციაში გენერალურმა ასამბლეამ წევრ-სახელმწიფოთა ყურადღება მიაპყრო მინიმალურ სტანდარტულ წესებს და რეკომენდაცია გაუწია მკაცრად დაიცვან ისინი პენიტენციარული და გამოსასწორებელი დაწესებულებების მმართველობაში, ასევე სასურველად მიიჩნია განიხილონ საკითხი მათი ეროვნულ კანონმდებლობაში შეტანის შესახებ. ზოგიერთი სახელმწიფოს წესები შეიძლება უფრო პროგრესული იყოს, ამიტომ მათ არ სთავაზობენ ამ წესების მიღებას. თუ სახელმწიფოს აუცილებლად მიაჩნია შეუთანხმოს ეს წესები თავის სამართლებრივ სისტემას და მოახდინოს მათი ადაპტირება, ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს ამ წესების არსს.

პროცედურა 2.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ხორცშესხმა ეროვნულ კანონმდებლობაში ან სხვა დებულებებში არსებულ კანონებსა და კულტურასთან ადაპტაციის აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა ხდებოდეს წესების არსის და მიზნების გათვალისწინებით, მათი დამახინჯების გარეშე.

კომენტარი

მოცემული პროცედურა ხაზს უსვამს, რომ აუცილებელია წესების ხორცშესხმა ეროვნულ კანონმდებლობასა და დებულებებში, რაც გულისხმობს 1-ლი პროცედურის ზოგიერთ ასპექტს.

პროცედურა 3.

მინიმალური სტანდარტული წესები ყველა პირის, კერძოდ - მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების და გამოსასწორებელი დაწესებულებების პერსონალის განკარგულებაშია, რათა მათ გამოიყენონ ისინი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში.

კომენტარი

ამ პროცედურით ხაზგასმულია, რომ ეს წესები, აგრეთვე ეროვნული სტატუტები და დებულებანი ამ წესების შესრუ-

ლების შესახებ უნდა იყოს იმ პირთა განკარგულებაში, რომლებიც ასრულებენ მათ, კერძოდ, ესენი არიან მართლწესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირნი და გამოსასწორებელი დაწესებულებების თანამშრომლები. ამ წესთა ეფექტიანად შესრულებისათვის გამოსასწორებელი დაწესებულებების მოღვაწეობაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ორგანოს შეუძლია გაითვალისწინოს სასწავლო კურსების მოწყობა. პროცედურათა გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია მეშვიდე-მეცხრე პროცედურებში.

პ რ ო ც ე დ უ რ ა 4.

ეროვნულ კანონმდებლობასა და სხვა დებულებებში განხორციელებულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს გაეცნობა ყველა მსჯავრდადებული და ყველა დაკავებული პირი შესაბამის დაწესებულებაში მიღებისას და თავისუფლების აღკვეთის პერიოდში.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მინიმალური სტანდარტული წესების მიზნების მისაღწევად აუცილებელია წესებს, აგრეთვე ამ წესების განხორციელების შესახებ არსებული სტატუტებს და დებულებებს გაეცნონ დაკავებულნი და დაპატიმრებულნი (წესი 95), რაც ხელს შეუწყობს იმის გაგებას, რომ ეს წესები არის მინიმალური პირობები მისაღებად აღიარებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. ამგვარად, ეს პროცედურა ავსებს მესამე პროცედურაში მითითებულ დებულებას.

დებულება ანალოგიურია იმისა, რომელიც აცნობს მოცემულ წესებს პირთ, რომელთა დასაცავადაც ისინი შე-

მუშავდა, უკვე გათვალისწინებულია 1943 წლის 12 აგვისტოს ჟენევის ოთხ კონვენციაში. პირველი კონვენციის 47-ე მუხლში, მეორე კონვენციის 48-ე მუხლში, მესამე კონვენციის 127-ე და მეოთხე კონვენციის 144-ე მუხლებში იდენტურად ნათქვამია:

"მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ როგორც მშვიდობიან, ისე ომიანობის დროს, რაც შეიძლება ფართოდ გაავრცელონ ამ კონვენციათა ტექსტები, კერძოდ - შეიტანონ მათი შესწავლა სამხედრო სასწავლო პროგრამებში და, თუ ეს შესაძლებელია, სამოქალაო სწავლების კურსშიც, რათა კონვენციის პრინციპებს მთლიანობაში გაეცნოს რაც შეიძლება ფართო წრე მოსახლეობისა, განსაკუთრებით კი - მებრძოლი სამხედრო ძალები, სანიტარული პერსონალი და ღვთისმსახურნი".

პ რ ო ც ე დ უ რ ა 5.

ხუთ წელიწადში ერთხელ სახელმწიფოები აცნობებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მიღებული ანკეტის კითხვებზე პასუხის სახით მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების თვალსაზრისით განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბისა და მიღებული პროგრამის შესახებ, ასევე იმ ფაქტორების და სიძნელეების შესახებ (თუ მათ ადგილი აქვთ), რომლებიც გავლენას ახდენენ წესების გამოყენებაზე. ანკეტა შედგენილი უნდა იყოს განსაკუთრებული სქემით, იყოს შერჩევითი და შეიფარგლოს სპეციალურად შერჩეული კითხვებით, რაც უზრუნველყოფს დასახული პრობლემების ღრმა მიმოხილვას და გამოკვლევას. გენერალური მდივანი მთავრობათა მოხსენებების, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში მიღებული სხვა ინფორმაციის გათვალისწინებით ამზადებს პერიოდულ მოხსენებებს მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების შესახებ. ამ მოხსე-

ნებათა მოსამზადებლად მას შეუძლია ითანამშრომლოს სხვ
სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო სპეციალიზებულ
დაწესებულებებთან ან ორგანიზაციებთან, რომელთაც ეკონ
ომიკურ და სოციალურ საბჭოში კონსულტატიური სტატუს
აქვთ. გენერალური მდივანი განსახილველად გადასცემ
ზემოთხსენებულ მოხსენებებს დანაშაულობათა აღკვეთის დ
მასთან ბრძოლის კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელმა გან
ახორციელოს შემდგომი მოქმედებანი.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

საჭიროა შეხსენება, რომ ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით რეკომენდირებულად ჩათვალა ყოველ ხუთ წელიწადში გენერალური მდივნის ინფორმირება მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების თაობაზე. აგრეთვე უფლება მისცა გენერალურ მდივანს გამოაქვეყნოს მიღებული ინფორმაცია და, თუ საჭიროდ ჩათვლის, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დიდი ხანია ჩამოყალიბდა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან და შესაბამის სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრაქტიკა.

მოხსენების მომზადებისას გენერალური მდივანი მხედველობაში მიიღებს ინფორმაციას, რომელსაც ფლობენ ადამიანის უფლებათა საკითხებზე მომუშავე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოები, ადამიანის უფლებათა კომისია, უმცირესობათა დაცვის და დისკრიმინაციის აღმკვეთი ქვეკომისია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის თანახმად მოქმედი ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი. შეიძლება გათვალისწინებული იქნეს წამების აღკვეთის შესახებ კონვენციის მიღებასთან დაკავშირებული მუშაობა, ასევე ნებისმიერი

ინფორმაცია, რომელიც შეიძლება შეგროვდეს გენერალური ასამბლეის მიერ ამჟამად მიმდინარე მუშაობისას დაპატიმრებულთა და ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა კრებულის შესადგენად.

პროცედურა.

მეხუთე პროცედურის დებულების თანახმად სახელმწიფოები გენერალურ მდივანს გადასცემენ შემდეგ ინფორმაციას:

a) დაპატიმრებულ პირთათვის განკუთვნილი მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებისა და პირობების შესახებ არსებული ადმინისტრაციული ნორმების, წესების, საკანონმდებლო დებულებების ასლებს ან ნაწყვეტებს მათგან;

b) ნებისმიერ მონაცემებს ან აღწერით მასალას სამართალდამრღვევებთან მოპყრობის, დაწესებულებაში მომუშავე პერსონალის შესახებ, ინფორმაციას ნებისმიერი სახით დაკავებულ პირთა რიცხვის შესახებ, ასევე არსებულ სტატისტიკურ მასალას;

c) ნებისმიერ შესაბამის ინფორმაციას წესების გამოყენების, აგრეთვე მათი განხორციელებისას მოსალოდნელი სიძნელეების თაობაზე.

კომენტარი

ეს მოთხოვნები გამომდინარეობს როგორც ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ნბკC (XXIV) რეზოლუციიდან, ისე დამნაშავეობის აღკვეთის და მართლწესრიგის დამრღვევთა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგრესთა

რეზოლუციებიდან, თუმცა აქ არ იყო ცალკე გამოყოფილი ინფორმაციის სახეები, მაგრამ მიზანშეწონილია ამგვარი ინფორმაციის შეგროვება, რათა წევრ-სახელმწიფოებს გაუადვილდეთ სიძნელეთა გადალახვა სხვათა გამოცდილების გაზიარებით; უფრო მეტი, ამგვარი ინფორმაციის მისაღებად კითხვის გაგზავნა მსგავსია ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1956 წლის 1 აგვისტოს 624 B (XXII) რეზოლუციის თანახმად შემუშავებული ადამიანის უფლებათა საკითხის შესახებ პერიოდულ მოხსენებათა სისტემისა.

პროცედურა 7.

გენერალური მდივანი ავრცელებს მინიმალურ სტანდარტულ წესებს და გამოყენების არსებულ პროცედურებს რაც შეიძლება მეტ ენაზე და უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ყველა სახელმწიფოს, დაინტერესებული სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რათა მიღწეულ იქნეს წესების და პროცედურების მაქსიმალურად ფართოდ გავრცელება.

კომენტარი

ნათელია მინიმალური სტანდარტული წესების ფართოდ გავრცელების აუცილებლობა, მათი უფრო ეფექტიანი გავრცელებისა და გამოყენების უზრუნველყოფისათვის აუცილებელია განხორციელდეს მჭიდრო თანამშრომლობა ყველა შესაბამის სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან. აშიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეს ამ

ორგანიზაციებთან და მათ განკარგულებაში გადასცეს შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია. მან ხელი უნდა შეუწყოს ამ ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის გავრცელებას მინიმალური სტანდარტული წესების და მათი გამოყენების პროცედურათა შესახებ.

პროცედურა.

გენერალური მდივანი ავრცელებს თავის მოხსენებებს წესების გამოყენების თაობაზე, ანალიტიკურ მონათხრობს პერიოდული მიმოხილვებისა, დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტის მოხსენებებს, დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან ბრძოლის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონგრესისათვის მომზადებულ მოხსენებებს, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციებს, ამ საკითხისადმი მიძღვნილ სხვა დოკუმენტაციას, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

კომენტარი

მოცემული პროცედურა ასახავს დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცემათა ან ადამიანის უფლებათა წელიწდეულებში სისხლის სამართლის პოლიტიკის საერთაშორისო მიმოხილვაში, დამნაშავეობის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საინფორმაციო ბიულეტენში და სხვა შესაბამის გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების სახით ინფორმაციის მიწოდების არსებულ პრაქტიკას.

პროცედურა 9.

გენერალური მდივანი უზრუნველყოფს მინიმალური სტანდარტული წესების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებას და მის გამოყენებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამის პროგრამებში, ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების ჩათვლით.

კომენტარი

აუცილებელია ისეთი მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომლის დროსაც გაეროს ყველა შესაბამისი ორგანო თავის დოკუმენტებში შეიტანს წესებს და მათი გამოყენების პროცედურებს, ან მითითებებს იმ საშუალებებზე, რაც ხელს შეუწყობს წესების ფართოდ გავრცელებას და მათ გაცნობას სპეციალიზებული დაწესებულებების, მთავრობების, სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების და ფართო საზოგადოებისათვის, აგრეთვე, ხელს შეუწყობს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს და გენერალური ასამბლეის მართვას მათი გამოყენების საქმეში.

ის, თუ რამდენად მოახდენს პრაქტიკულ ზეგავლენას ეს წესები გამოსასწორებელი დაწესებულებების ადმინისტრაციაზე, ბევრად არის დამოკიდებული მათი ადგილობრივ კანონმდებლობასა და ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ღონისძიებებზე. წესები გასაგები და ნაცნობი უნდა იყოს პირთა ფართო წრისათვის მთელს მსოფლიოში - როგორც სპეციალისტების, ისე არასპეციალისტებისათვის. ამიტომ, აუცილებელია მეტი საჯაროობა ნებისმიერი ფორმით, რისი მიღებაც შეიძლება წესების ხშირი მითითებით და კომპანიების ჩატარებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

პროცედურა 10.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ტექნიკური თანამშრომლობისა და განვითარების პროგრამების ფარგლებში:

a) თხოვნის საფუძველზე დახმარებას უწევს მთავრობებს ყოვლისმომცველი და ჰუმანური გამოსასწორებელი სისტემების შექმნასა და განმტკიცებაში.

b) თხოვნის საფუძველზე მთავრობებს დახმარებას უწევს ექსპერტების, რეგიონალური და რეგიონთაშორისი მრჩევლების გაგზავნით, რომელნიც საქმიანობენ დამნაშავეობის აღკვეთის და სასამართლო მართლმსაჯულების სფეროში.

c) ხელს უწყობს ეროვნული და რეგიონალური სემინარების და სხვა სხდომების მოწყობას პროფესიონალურ და არაპროფესიონალურ დონეზე მინიმალური სტანდარტული წესების და მათი გამოყენების შესახებ პროცედურების გავრცელების მიზნით.

აფართოებს არსებულ მხარდაჭერას გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან დაკავშირებული რეგიონალური კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტებისადმი დამნაშავეობის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური, კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტები დამნაშავეობის აღკვეთის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ეროვნულ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით შეიმუშავებენ პროცედურებს, თუ როგორ უნდა იქნეს შეტანილი მინიმალური სტანდარტული წესები და პროცედურები სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებში, რათა მათი გამოყენება მოხდეს სისხლის სამართლის ყველა დონის სასწავლო პროგრამით, აგრეთვე, ადამიანთა უფლებების შემსწავლელ სპეციალიზებულ კურსებზე და სხვა მსგავსი საკითხების შესწავლისას.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ეს პროცედურა მოწოდებულია უზრუნველყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტექნიკური დახმარების პროგრამების და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალური ინსტიტუტების სასწავლო ღონისძიებების დამატებითი საშუალებების გამოყენება მინიმალური სტანდარტული წესების და პროცედურების განხორციელების დროს. გარდა გამოსასწორებელი დაწესებულებების პერსონალისათვის არსებული რეგულარული სასწავლო კურსებისა, სასწავლო ინსტრუქციებისა და ა.შ. დირექტიულ ორგანოებს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეთ სპეციალისტებთან კონსულტაციები წევრ-სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ საკითხებთან დაკავშირებით. აქვე იგულისხმება დაინტერესებული ქვეყნისათვის ექსპერტების გაგზავნა. ეს განსაკუთრებით აუცილებელია, რათა წესების გამოყენებისას გათვალისწინებული იყოს მათი არსი და იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წყობა, რომელმაც მოითხოვა ექსპერტების გაგზავნა.

პ რ ო ც ე დ უ რ ა II.

დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტი:

a) რეგულარულად აწარმოებს მინიმალური სტანდარტული წესების გადასინჯვას ახალი ნორმების, სტანდარტების და პროცედურების გამომუშავებისათვის თავისუფლებააღკვეთილ პირებთან მოპყრობის სფეროში.

b) აწარმოებს კონტროლს მოცემული წესების პროცედურათა შესრულებაზე; ამასთან, პერიოდულ მოხსენებებს ამზადებს მეხუთე პროცედურის თანახმად.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ვინაიდან პერიოდული გამოკვლევების, ასევე ტექნიკური დახმარების მისიათა მიერ შეგროვილი ინფორმაცია წარედგინება დანაშაულების აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომისიას, კომიტეტის განკარგულებაში რჩება წესების გამოყენების ეფექტიანობის უზრუნველყოფა გამოსასწორებელი პრაქტიკის დახვეწის საქმეში; კომიტეტის რეკომენდაციებში გათვალისწინებული იქნება წესების და პროცედურების გამოყენების მიმართულებანი. ამიტომ, კომიტეტმა ზუსტად უნდა განსაზღვროს არსებული ნაკლოვანებები ან ნაკლოვანებათა მიზეზები წესების გამოყენების დროს დაინტერესებული ქვეყნის სასამართლო ორგანოებთან და იუსტიციის სამინისტროებთან კონტაქტების საფუძველზე მათი აღმოფხვრისათვის შესაბამისი საშუალებების შესამუშავებლად.

პ რ ო ც ე დ უ რ ა 12.

დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტი აუცილებელ დახმარებას უწევს გენერალურ ასამბლეას ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელიც დაკავებულია ადამიანის უფლებათა საკითხების შესწავლით, მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენებასა და შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევისათვის, სპეციალური კომიტეტების მოხსენებებისათვის რეკომენდაციების შემუშავების საქმეში.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ვინაიდან, მოხსენებული კომიტეტი არის ორგანო, რომელიც წესების შესრულების მიმოხილვას აწარმოებს, მასვე

ევალება ზემოხსენებული ორგანოებისათვის დახმარების გაწევა.

პროცედურა 13.

ამ პროცედურებში არაფერი არ უნდა იქნეს ისე გაგებული, თითქოს წესების გამოყენება გამორიცხავს სამართლებრივი დაცვის ნებისმიერი სხვა ზომის და საშუალებების გამოყენებას, რომლებიც მიღებულია საერთაშორისო სამართლით ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოების და დაწესებულებების მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევათა აღსაკვეთად, ისეთი პროცედურის ჩათვლით, რომელიც ეხება ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1970 წლის 23 მაისის 1503 (XLVIII) რეზოლუციას ადამიანის უფლებათა სისტემატიური დარღვევის შესახებ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატურ ოქმში გადმოცემული მონაცემების განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურას, ასევე ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კონვენციის მონაცემთა განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურას.

კომენტარი

ვინაიდან მინიმალური სტანდარტული წესები მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ადამიანის უფლებათა კონკრეტულ საკითხებს, მოცემული პროცედურები არ გამორიცხავენ ნებისმიერი სახის დარღვევათა აღკვეთას ნებისმიერი საშუალებით, არსებული საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების შესაბამისად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ

("პეკინის წესები")

გენერალური ასპექტები

მსედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ასევე ადამიანთა უფლებების შესახებ არსებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც ეხება ახალგაზრდობას.

თვალისწინებს, რომ 1985 წელი გამოცხადებულია ახალგაზრდობის წლად: მონაწილეობა, განვითარება, მშვიდობა- და რომ, საერთაშორისო საზოგადოება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის უფლებათა განხორციელებისათვის ხელშეწყობის და დაცვის საკითხებს, რისი დასტურიც არის ის, თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვთა უფლებების დეკლარაციას (რეზოლუცია 1986 (XIV).

ეყრდნობა დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ გაეროს მეექვსე კონგრესის მიერ მიღებულ 4 რეზოლუციას (იხ.დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაეროს მეექვსე კონგრესი, კარაკასი, 1980 წლის 25 აგვისტო - 5 სექტემბერი; სამდიყნოს მიერ მომზადებული მოხსენება (გაეროს გამოცემა გაყიდვაშია №R 81, IV, 4, თავი I, ნაწილი B), რომლებშიც არის მოწოდება იზრუნონ არასრულწლოვანებზე და შემუშავდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესები, რაც მოდელი იქნება წევრი-სახელმწიფოებისათვის.

ეყრდნობა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1984 წლის 25 მაისის 1984/153 გადაწყვეტილებას, რის მიხედვითაც წესების პროექტი პეკინში 1984 წლის 14-18 მაისს გამართული რეგიონთაშორისო მოსამზადებელი თათბირის შემდეგ განსახილველად წარედგინა 1985 წლის 26 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე მილანში მიმდინარე გაეროს VII კონგრესს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ (იხ. რეგიონთაშორისო მოსამზადებელი თათბირის მოხსენება გაეროს VII კონგრესს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ თემაზე: ახალგაზრდობა, დამნაშავეობა და მართლმსაჯულება (A/CONF, 121/IPM/CONF).

აღიარებს, რომ ახალგაზრდობას პიროვნული განვითარების ადრეულ ეტაპზე სჭირდება განსაკუთრებული მზრუნველობა და დახმარება ფიზიკური, სულიერი და სოციალური განვითარების სფეროში, ასევე სამართლებრივი დაცვა მშვიდობის, თავისუფლების, პატივისცემის და უშიშროების პირობებში.

მიიჩნევს, რომ არსებული ნაციონალური კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა, შესაძლოა, მოითხოვს გადასინჯვას და შეცვლას მოცემულ წესებში მითითებული ნორმების გათვალისწინებით;

მიიჩნევს, რომ შესაძლოა, არსებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სამართლებრივი პირობების გამო ეს ნორმები ძნელად განსახორციელებელია, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი უნდა განხორციელდეს პროგრამა-მინიმუმის სახით.

1. მადლიერებით აღნიშნავს დამნაშავეობის აღკვეთისა და მასთან ბრძოლაში გენერალური მდივნის, გაეროს დამნაშავეობის აღკვეთისა და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის აზიის და შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის და გაეროს სხვა ინსტიტუტების მიერ გაწეულ მუშაობას არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების მოსამზადებლად;

2. მადლიერებით აღნიშნავს გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებას არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ მინიმალური სტანდარტული წესების პროექტის თაობაზე A/CONF,121 (4);

3. იწონებს პეკინში ჩატარებული რეგიონთაშორისი მოსამზადებელი თათბირის შედეგებს, რომელსაც დასრულდა წესების ტექსტის შემუშავება და იგი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების გამოსატანად გადაეცა გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მეშვიდე კონგრესს;

4. ამტკიცებს გაეროს მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების შესახებ, რომლებიც რეკომენდირებულია მეშვიდე კონგრესის მიერ და დამატების სახით ერთვის მოცემულ რეზოლუციას. ასევე, იწონებს მეშვიდე კონგრესის რეკომენდაციას, რომ მათ ეწოდოს "პეკინის წესები";

5. სთავაზობს წევრ-სახელმწიფოებს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუსაბამონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა პეკინის წესებს, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროსთან დაკავშირებული პერსონალის მომზადების დროს; შესაბამის ორგანოებს და ფაროთო საზოგადოებრიობას გააცნონ მოცემული წესები;

6. მოუწოდებს დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტს, შეიმუშაოს ღონისძიებანი პეკინის წესების ეფექტურად განხორციელებისათვის გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის ინსტიტუტის მხარდაჭერით;

7. სთავაზობს წევრ-სახელმწიფოებს, აცნობონ გენერალურ მდივანს პეკინის წესების განხორციელების თაობაზე; დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის კომიტეტს რეგულარულად წარუდგინონ მოხსენებანი მიღწეულ შედეგებზე;

8. სთხოვს წევრ-სახელმწიფოებს და გენერალურ მდივანს, ჩაატარონ გამოკვლევები და შეიმუშავონ მონაცემთა ბაზა

არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ეფექტური პოლიტიკის და პრაქტიკის შესახებ;

9. გენერალურ მდივანს სთხოვს და წევრ-სახელმწიფოებს სთავაზობს, უზრუნველყონ პეკინის წესების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელება გაეროს ყველა ოფიციალურ ენაზე არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში, საინფორმაციო მოღვაწეობის აქტივიზების ჩათვლით;

10. სთხოვს გენერალურ მდივანს, შეიმუშაოს პეკინის წესების განხორციელების ექსპერიმენტალური პროექტები.

11. სთხოვს გენერალურ მდივანს და წევრ-სახელმწიფოებს, გამოყონ აუცილებელი სახსრები პეკინის წესების წარმატებით განხორციელებისათვის: კერძოდ, კადრების დაქირავების და მომზადების, თანამშრომელთა გაცვლის, გამოკვლევების და შეფასებების წარმოების და მიღების, ასევე, გამასწორებელ დაწესებულებებში ყოფნის ახალი ალტერნატივების შემუშავებისათვის;

12. სთხოვს გაეროს დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის VIII კონგრესს, პეკინის წესების და მოცემულ რეზოლუციაში ჩამოყალიბებული რეკომენდაციების განხორციელების დროს მიღწეული შედეგების მიმოხილვა მოახდინოს დღის წესრიგის ცალკე პუნქტის ფარგლებში, რომლებიც ეხება მართლმსაჯულების განხორციელებას არასრულწლოვანთა მიმართ.

13. დაბეჯითებით სთხოვს გაეროს სისტემის ყველა შესაბამის ორგანოს, კერძოდ, დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის გაეროს რეგიონალურ კომისიებს და სპეციალიზებულ დაწესებულებებს, ინსტიტუტებს, სხვა მთავრობათაშორის და არასამთავრობო ორგანიზაციებს, ითანამშრომლონ სამდივნოსთან და მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა მათ კომპეტენციაში შემავალ შესაბამის სფეროებში უზრუნველყონ პეკინის წესების პრინციპების განხორციელება შეთანხმებული და მუდმივი მოქმედებებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ "პეკინის წესები"

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი,

ზოგადი პრინციპები

1. ძირითადი მიზნები

1.1. წევრი-სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ, თავიანთი ზოგადი ინტერესების შესაბამისად, ხელი შეუწყონ არასრულწლოვანის და მისი ოჯახის კეთილდღეობას;

1.2. წევრი-სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ, შექმნან პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოზარდის შინაარსიან ცხოვრებას საზოგადოებაში. საზოგადოებამ მისი ცხოვრების იმ პერიოდში, როცა მოზარდი ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასწორი ყოფაქცევისადმი, ხელი უნდა შეუწყოს მისი პიროვნების განვითარებას და ისეთი განათლების მიღებას, რომელიც მაქსიმალურად თავისუფალია დანაშაულის და სამართალდარღვევის ჩადენის შესაძლებლობისაგან;

1.3. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს პოზიტიური ზომების განხორციელებას, რაც ითვალისწინებს ყველა შესაძლო რესურსის მობილიზებას ოჯახის, მოსახლეობის და საზოგადოების სხვა ჯგუფების, სკოლების და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩათვლით, რათა ხელი შეუწყონ მოზარდის კეთილდღეობას კანონის მხრივ ჩარევის აუცილებლობის შესამცირებლად და ეფექტურად, სამართლიანად და ჰუმანურად მოეპყრონ მოზარდს, რომელიც კანონთან კონფლიქტშია;

1.4. მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ უნდა იყოს ყოველი ქვეყნის ეროვნული განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილი ყველა არასრულწლოვანისათვის სპეციალური სამართლიანობის საყოველთაო უზრუნველყოფის ჩარჩოებში, ეს ერთდროულად დაიცავს ახალგაზრდობას და საზოგადოებაში მშვიდობიან წესრიგს;

1.5. მოცემული წესების განხორციელება ყოველ წევრსახელმწიფოში უნდა მოხდეს არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტში;

1.6. უნდა ხდებოდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სამსახურის სისტემატიური განვითარება და კოორდინირება, რათა ამაღლდეს და საჭირო დონეზე შენარჩუნებული იქნეს ამ სფეროში დაკავებული პერსონალის კვალიფიკაცია, მეთოდების, მიდგომების და დამოკიდებულებების ჩათვლით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

აღნიშნული ზოგადი მიზნები ეხება ყოვლისმომცველ სოციალურ პოლიტიკას და მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მაქსიმალური ხელშეწყობისაკენ, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არასრულწლოვანთა საქმეებში მართლმსაჯულების სისტემის ჩარევას და პირველ რიგში, შეამცირებს ზარალს, რომელიც მოსდევს ნებისმიერი სახის ჩარევას. ძირითადი შინაარსი პოლიტიკისა, რომლის მიზანია გამორიცხოს მოცემული წესების გამოყენების აუცილებლობა, არის ამგვარი ღონისძიებების განხორციელება ახალგაზრდობის მიერ დანაშაულის ჩადენამდე.

წესები 1.1-1.3 მიუთითებს სერიოზულ როლზე, რომელიც აკისრია კონსტრუქციულ სოციალურ პოლიტიკას არასრულწლოვანთა მიმართ, კერძოდ, არასრულ წლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულისა და სამართალდარღვევის აღკვეთაში.

1.4. წესში მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა მიმართ განისაზღვრება არასრულწლოვანთათვის სოციალური სამართლიანობის სისტემის შემადგენელ ნაწილად, ხოლო 1.6 წესში მითითებულია, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემის მუდმივი სრულყოფა, იმავდროულად, უნდა მიიღონ ზომები არასრულწლოვანთა მიმართ პროგრესული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის და გაითვალისწინონ ამ სისტემის პერსონალის მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობა.

1.5. წესის მიზანია, აისახოს წევრ-სახელმწიფოებში არსებული პირობები, რომლებზეც დამოკიდებული იქნება კონკრეტული წესების გამოყენების ფორმები, ეს ფორმები აუცილებლად განსხვავებული იქნება სხვა სახელმწიფოების მიერ გამოყენებული ფორმებისაგან.

2. წესების გამოყენების სფერო და გამოყენებული განსაზღვრებები

2.1. მოცემული მინიმალური სტანდარტული წესები გამოიყენება არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ მიუკერძოებლად, ყოველგვარი განსხვავებული მიდგომის გარეშე, მაგალითად, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რწმენის, პოლიტიკური ან სხვა წარმოდგენების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა მდგომარეობის საფუძველზე.

2.2. მოცემული წესების განხორციელებისათვის წევრი-სახელმწიფოები იყენებენ შემდეგ განსაზღვრებებს იმგვარად, რომ ისინი პასუხობდნენ მათ შესაბამის სამართლებრივ სისტემებს და კონცეფციებს:

ა) არასრულწლოვანი ბავშვი ან ახალგაზრდა, რომელიც არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ჩადენილი სამართალდარღვევისათვის იმ ფორმით, რომელიც განსხვავდება მოზრდი-

ლი ადამიანისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან.

ბ) სამართალდარღვევად ითვლება ყოველგვარი სახის დანაშაული (მოქმედება ან უმოქმედება), რომელიც ისჯება კანონით არსებული სამართლებრივი სისტემის ფარგლებში;

გ) არასრულწლოვან დამნაშავედ ითვლება ბავშვი ან ახალგაზრდა, რომელიც ეჭვმიტანილია დანაშაულის ჩადენაში ან დადგენილია, რომ მან იგი ნამდვილად ჩაიდინა.

2.3. ყოველი სახელმწიფოს ეროვნული იუსტიციის ფარგლებში საჭიროა ძალისხმევა, რათა მიღებულ იქნეს კანონების, წესების და დებულებების კომპლექსი უშუალოდ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების და მათ მიმართ მართლმსაჯულების აღმასრულებელი დაწესებულებების და ორგანოების შესახებ. ამ დაწესებულებათა და ორგანოთა მიზნებია:

ა) დააკმაყოფილონ არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სხვადასხვა მოთხოვნილებანი, ამასთან, დაიცვან მათი ძირითადი უფლებები;

ბ) დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნილებანი;

გ) ცხოვრებაში გაატარონ მოცემული წესები მტკიცედ და მიუკერძოებლად.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მინიმალური სტანდარტული წესები სპეციალურად არის ფორმირებული იმგვარად, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, და ამასთან, დაწესდეს გარკვეული მინიმალური სტანდარტები არასრულწლოვან სამართალდამრღვევთან მოპყრობის ნებისმიერი სისტემის პირობებში, ყველა შემთხვევაში წესები უნდა გამოიყენებოდეს მიუკერძოებლად და რაიმე განსხვავების გარეშე.

ამიტომ 2.1. წესში ხაზგასმით არის მითითებული წესების მიუკერძოებლად და რაიმე განსხვავების გარეშე გამოყენების აუცილებლობა. ეს წესი შეესიტყვისება ბავშვთა

უფლებების დეკლარაციის მე-2 პრინციპს (რეზოლუცია 1386 (XVI). იხ. აგრეთვე კონვენცია ქალების მიმართ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმით გამოყენების აღმოფხვრის შესახებ (რეზოლუცია 34/180, დამატება); რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საყოველთაო კონფერენციის დეკლარაცია (რასიზმთან და რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საყოველთაო კონფერენციის მოხსენება. ჟენევა, 11-25 აგვისტო 1978 წელი) გაეროს გამოცემა. გაყიდვაშია №R 79-XVI.2 (თავი 2); დეკლარაცია რელიგიასა ან წარმოდგენებზე დაფუძნებული ყველა სახის დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის ლიკვიდაციის შესახებ (რეზოლუცია 36/55); მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები (იხ. ადამიანის უფლებები: საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული, გაეროს გამოცემა, გაყიდვაშია №R 83. XVI.1); კარაკასის დეკლარაცია (რეზოლუცია 35/171, დამატება და წესი 9).

2.2. წესში განსაზღვრული ტერმინი "არასრულწლოვანი" და "სამართალდამრღვევი" როგორც კომპონენტები ცნებისა "არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი", რაც არ არის ამ მინიმალური სტანდარტული წესების საგანი (იხ. აგრეთვე წესი 3.4), უნდა აღინიშნოს, რომ ასაკობრივი ზღვარი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ყოველი სამართლებრივი სისტემის მდგომარეობასთან, რითაც გათვალისწინებული იქნება წევრი-სახელმწიფოების ეკონომიკური,სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და სამართლებრივი სისტემები. ამიტომ ცნება "არასრულწლოვანი" მოიცავს ფართო ასაკობრივ დიაპაზონს 7-დან 18 წლამდე და 18 წლის ზევით, ასეთი ფართო ზღვარი შედეგია ეროვნული სამართლებრივი სისტემების მრავალფეროვნებისა და არ ამცირებს მოცემული მინიმალური სტანდარტული წესების მნიშვნელობას.

2.3. წესში აღნიშნულია, რომ აუცილებელია შემუშავდეს კონკრეტული ეროვნული კანონმდებლობა მოცემული მინიმალური სტანდარტული წესების ხორცშესხმისათვის, როგორც კანონმდებლობაში, ისე პრაქტიკაში.

3. წესების გამოყენების სწორის გაფართოება

3.1. წესების შესაბამისი დებულებანი გამოიყენება არა მხოლოდ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ, არამედ არასრულწლოვანთა მიმართ, რომელთა ბასუხისგებაში მიცემა შეიძლება ნებისმიერი კონკრეტული ჩადენილი დანაშაულისათვის, რომლის ჩადენის შემთხვევაში მოზრდილი ადამიანი არ დაისჯება;

3.2. საჭიროა ძალისხმევა, რათა წესებში მითითებული პრინციპების მოქმედება გავრცელდეს ყველა არასრულწლოვანზე, რომელთა მიმართ მიღებულია ზომები სოციალური უზრუნველყოფის და მზრუნველობისათვის;

3.3. ასევე საჭიროა ძალისხმევა, რათა წესებში გადმოცემული პრინციპების მოქმედება გავრცელდეს ახალგაზრდა, სრულწლოვან სამართალდამრღვევებზე.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მესამე წესი ითვალისწინებს არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალურ სტანდარტულ წესებში გათვალისწინებული დაცვის მეთოდების გავრცელებას შემდეგ შემთხვევებზე:

ა) სხვადასხვა ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში გათვალისწინებული ე.წ. "სტატუსური დარღვევები", როდესაც ჩადენილი სამართალდარღვევები არასრულწლოვანისათვის უფრო ფართო სფეროს მოიცავს, ვიდრე მოზარდი ასაკისათვის. (მაგალითად, გაცდენები, ცუდი ყოფაქცევა, სკოლაში და ოჯახში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში მისვლა და ა.შ.)

ბ) ღონისძიებების გატარება არასრულწლოვანებზე სოციალური უზრუნველყოფისა და მზრუნველობის დაწესებისათვის (წესი 3.2.)

გ) ახალგაზრდა, სრულწლოვან სამართალდამრღვევებზე მოცემულ წესებში გადმოცემული პრინციპების გავრცელება (წესი 3.3).

გამართლებულია წესების გავრცელება ამ სამ კატეგორიაზე.

წესი 3.1. ითვალისწინებს მინიმალურ გარანტიებს ამ სფეროში, ხოლო წესი 3.2. ითვლება სასურველ ნაბიჯად კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების მიმართ უფრო სამართლიანი, თანასწორი და ჰუმანური მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.

4. სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკი

4.1. სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებენ არასრულწლოვანთათვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკის არსებობას, ამგვარი ასაკის ქვედა ზღვარი, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური მომწიფების ასპექტების გათვალისწინებით, არ უნდა იყოს ძალზე დაბალი.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

სისხლის სამარლის დანაშაულის ჩადენისათვის პასუხისმგებლობის ასაკის მინიმალური ზღვარი საკმაოდ განსხვავებულია ისტორიული და კულტურული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე. თანამედროვე მიდგომა იმაში გამოიხატება, რომ განისაზღვროს შეუძლია თუ არა ბავშვს გადაიტანოს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მორალური და ფსიქოლოგიური ასპექტები, სხვაგვარად, უნდა განისაზღვროს ბავშვის სამართალში

მიცემის შესაძლებლობა, გამომდინარე მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან-აღიქვას და შეიგნოს პასუხისმგებლობა ჩადენილი აშკარა ანტისაზოგადოებრივი ქმედებისათვის. თუ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ასაკობრივი ზღვარი ძალზე დაბალია ან საერთოდ არ არის დაწესებული, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება აზრს კარგავს. საერთოდ, არსებობს მჭიდრო კავშირი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობისა ან დანაშაულებრივ ქმედებებს და სხვა სოციალურ უფლებებსა და მოვალეობებს შორის (მაგ. ოჯახური მდგომარეობა, სამოქალაქო სრულწლოვანება და სხვა).

ამიტომ საჭიროა ძალისხმევა, რათა დაწესდეს საერთაშორისო მასშტაბით მისაღები ქვედა ასაკობრივი ზღვარი.

5. მართლმსაჯულების მიზნები არასრულწლოვანთა მიმართ

5.1. მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ პირველყოვლისა მიმართულია არასრულწლოვანის კეთილდღეობისა და იმის უზრუნველყოფისაკენ, რომ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებზე ზემოქმედების ყოველგვარი ღონისძიება ყოველთვის შეესატყვისებოდეს როგორც პიროვნების თავისებურებებს, ისე სამართალდარღვევის გარემოებებს.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

5.1. წესში ასახულია არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების ორი უმთავრესი მიზანი: პირველია არასრულწლოვანის კეთილდღეობისათვის ხელშეწყობა.

ეს არ არის ძირითადი საზრუნავი იმ სამართლებრივი სისტემებისა, რომლებშიც არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეებს არჩევენ საოჯახო საქმეთა სასამართლოები ან ადმინისტრაციული ხელისუფლება. მაგრამ არასრულწლოვანთა კეთილდღეობას ყურადღება უნდა მიექცეს იმ სამართლებრივ სისტემებშიც, რომლებშიც არსებობს სისხლის სამართლის დევნის მოდელი, ამგვარი მოდელის არსებობის დროს გარანტირებული იქნება წმინდა სადამსჯელო ხასიათის სანქციები (იხ. წესი 14).

მეორე მიზანია "შესაბამისობის პრინციპის" დაცვა. ეს პრინციპი ფართოდ არის ცნობილი, როგორც დამსჯელი სანქციების გამოყენების შეზღუდვის საშუალება. დამსჯელი სანქციები ძირითადად გამოიყენება დანაშაულის სიმძიმის შესაბამისად სამაგიეროს მიზღვევის პრინციპის გამოყენებაში. ახალგაზრდა სამართალდამრღვევების მოქმედებებზე რეაქცია უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ დანაშაულის სიმძიმეს, არამედ პიროვნების განსაკუთრებულობასაც. სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურებანი (მაგალითად, სოციალური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, სამართალდამრღვევის მიერ მიყენებული ზარალი და სხვა ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება სამართალდამრღვევის პიროვნებას) გავლენას უნდა ახდენდეს საპასუხო ქმედებების შესაბამისობაზე (მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდამრღვევის სურვილი, ზარალი აუნაზღაუროს დაზარალებულს ან მისი სურვილი, იცხოვროს სისხლსავსე და სასარგებლო ცხოვრებით).

ანალოგიურად, საპასუხო ქმედებანი, მიმართული ახალგაზრდა სამართალდამრღვევის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ, შეიძლება გავიდეს აუცილებლობის ფარგლებიდან და ამით ზიანი მიაყენოს კონკრეტული ახალგაზრდის ძირითად უფლებებს, რაც შეიმჩნევა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების ზოგიერთ სისტემაში. ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს საპასუხო ქმედებების შესაბამისობა სამართალდარღვევის გარე-

მოებების თავისებურებების, მსხვერპლის და ასევე, სამართალდამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით.

მეხუთე წესში გათვალისწინებულია მხოლოდ სამართლიანი საპასუხო ქმედებების გატარება არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი ნებისმიერ სამართალდარღვევაზე ან დანაშაულზე. ასპექტების მრავალფეროვნებამ, რომელსაც შეიცავს ეს წესი, შეიძლება ხელი შეუწყოს ორ მიდგომას: ახალი და ნოვატორული სახეები საპასუხო ქმედებებისა ისევე სასურველია, როგორც გაფრთხილების ღონისძიებები არასრულწლოვანზე სოციალური კონტროლის ქსელის გაუმართლებელი გაფართოების შემთხვევაში.

6. დისკრედიტაციული უფლებამოსილებების მოცულობა

6.1. არასრულწლოვანთა სხვადასხვა განსაკუთრებული სახის მოთხოვნების, ასევე, არსებული წესების მრავალფეროვნების გამო, უნდა გათვალისწინებულ იქნეს დისკრედიტაციული უფლებამოსილებების შესაბამისი მოცულობა სამართლის გზით საქმის გარჩევის ყველა ეტაპზე და არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე. ასევე გამოძიების, სასამართლოში საქმის განხილვის, სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოტანის და მათ აღსრულებაზე კონტროლის დროს;

6.2. ამასთან ერთად, საჭიროა ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ანგარიშგება ნებისმიერი დისკრედიტაციული უფლებამოსილების განხორციელების ყველა ეტაპზე და დონეზე;

6.3. პირნი, რომლებიც ფლობენ უფლებამოსილებას, უნდა ფლობდნენ სათანადო კვალიფიკაციას ან მომზადებას ამ უფლებამოსილების და რწმუნებების შესაბამისად.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

6.1 6.2 და 6.3 წესები მოიცავენ არასრულწლოვანთა მიმართ ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური მართლმსაჯულების განხორციელების რამოდენიმე ძირითად ასპექტს: მართლმსაჯულების ყველა ძირითად დონეზე დისკრედიტაციული უფლებამოსილების გამოყენების ნებართვის აუცილებლობა, რათა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შეეძლოთ იმოქმედონ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე; აუცილებლობა, რომ გადაისინჯოს კონტროლის და წინააღმდეგობის ზომები, რათა გამოირიცხოს დისკრედიტაციული უფლებამოსილების არასწორად გამოყენების შემთხვევები და დაცულ იქნეს ახალგაზრდა სამართალდამრღვევის უფლებები. დისკრედიტაციული უფლებების ფართოდ გამოყენების შემზღუდავია ანგარიშგება და პროფესიონალიზმი. ამგვარად, მოცემულ შემთხვევაში ხაზგასმულია არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეებში (იხ. აგრეთვე წესები 1.6 და 2.2). დისკრედიტაციული უფლებამოსილებების გამოყენების კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების მნიშვნელობა საქმეთა გადასინჯვის, აპელაციების და ა.შ. სისტემების უზრუნველყოფა, რათა გარანტირებული იყოს გადაწყვეტილებების და ანგარიშგების შემოწმება. ამგვარი მექანიზმები კონკრეტულად არ არის მითითებული გარკვეული სიძნელეების გამო, რადგან მათი ჩარევით საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტულ წესებში შეუძლებელია გათვალისწინებული იყოს მართლმსაჯულების სისტემებში არსებული ყველა განსხვავება.

7. არასრულწლოვანთა უფლებები

7.1. ძირითადი პროცესუალური გარანტიები, როგორიც არის უდანაშაულობის პრეზუმფცია, ბრალდების გაცნობის უფლება, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება, ადვოკატის ყოლის უფლება, მშობლების ან მზრუნველის დასწრების უფლება, მოწმეებთან პირისპირ შეხვედრის და ჯვარედინი დაკითხვის უფლება, ზემდგომ ინსტანციაში აპელაციის უფლება გარანტირებული უნდა იყოს სასამართლოს წესით საქმის განხილვის ყველა ეტაპზე.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

7.1. წესში ხაზგასმულია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს არსებითი ელემენტებია და აღიარებულია საერთაშორისო დონეზე ადამიანის უფლებების შესახებ არსებულ დოკუმენტებში (იხ. აგრეთვე წესი 14). მაგალითად, დებულება უდანაშაულობის პრეზუმფციის შესახებ შედის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლში და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 14.2. მუხლში.

მოცემული მინიმალური სტანდარტული წესების მე-14 მუხლში და შემდგომ კონკრეტულად განისაზღვრება საკითხები, რომლებიც ძირითადია, კერძოდ, სასამართლოში არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, ხოლო 7.1. წესში ზოგადად დასტურდება ყველა ძირითადი პროცესუალური გარანტია.

მ. კ ო ნ ფ ი დ ე ნ ც ი ა ლ ო ბ ი ს გ ა რ ა ნ ტ ი ა

მ.1. არასრულწლოვანის უფლებას კონფიდენციალურობაზე პატივი უნდა ეცეს ყველა ეტაპზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისთვის ზიანის მიყენება არასასურველი საჯაროობის ან რეპუტაციის შელახვის გამო;

მ.2. პრინციპში, არ უნდა გამოქვეყნდეს არავითარი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის პიროვნებაზე.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მე-8 წესში ხაზგასმულია კონფიდენციალურობაზე არასრულწლოვანის უფლების უზრუნველყოფის მნიშვნელობა. ახალგაზრდა განსაკუთრებით ავადმყოფურად რეაგირებს რეპუტაციის შელახვაზე, აღნიშნულ საკითხზე ჩატარებული კრიმინოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, რაოდენ უარყოფითად ეკიდება ახალგაზრდობა ისეთი განსაზღვრებების გამოყენებას, როგორიც არის "სამართალდამრღვევი" ან "დამნაშავე".

მე-6 წესში ხაზგასმულია ასევე აუცილებლობა, რომ დაიცვან არასრულწლოვანი მისი საქმის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ცნობებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან (მაგალითად, ეჭვმიტანილი ან გასამართლებული სამართალდამრღვევების სახელების გამოქვეყნება), პიროვნების ინტერესები დაცული და გარანტირებული უნდა იყოს პრინციპულად მაინც, (მე-8 წესის ზოგადი დებულებანი დაკონკრეტებულია შემდგომ 21ე წესში).

9. თავდაცვითი შენიშვნა

9.1. მოცემული წესები არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს გამორიცხულია გაეროს მიერ მიღებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების (იხ. ადამიანის უფლებები: საერთაშორისო ხელშეკრულებების კრებული (გაეროს გამოცემა, გაყიდვაშია №R.83. XIV.1), ასევე ახალგაზრდა პირთა დაცვის და მათზე ზრუნვის შესახებ მიღებული დოკუმენტების და სტანდარტების გამოყენება, რომლებიც აღიარებულია საერთაშორისო საზოგადოების მიერ.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მე-9 წესი გათვალისწინებულია ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოცემული წესების გაგების და ცხოვრებაში გატარების დროს ადამიანის უფლებების შესახებ უკვე არსებული ან შემუშავების პროცესში მყოფი საერთაშორისო დოკუმენტები და სტანდარტების პრინციპების შესაბამისად, ასეთებია: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ბავშვთა უფლებების დეკლარაცია და ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 68 პროექტი (იხ. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1985 (142 რეზოლუცია) გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მოცემული წესების გამოყენება ზიანს არ აყენებს არავითარ ანალოგიურ საერთაშორისო დოკუმენტს, რომლის დებულებათა უფრო ფართოდ გამოყენებაა შესაძლებელი 67, წესი (იხ. აგრეთვე წესი 27).

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

გამოძიება და სასამართლოს წესით საქმის განხილვა

10. თავდაპირველი კონტაქტი

10.1. არასრულწლოვანის დაკავების შემთხვევაში, მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობებათ მის მშობლებს ან მზრუნველს, ხოლო თუ დაუყოვნებლივ შეტყობინება შეუძლებელია, აცნობებენ მოგვიანებით, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში.

10.2. სასამართლო ან სხვა კომპეტენტური პირი ან ორგანო დაუყოვნებლივ განიხილავს გათავისუფლების საკითხს.

10.3. კონტაქტები მართლმსაჯულების ორგანოებს და არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს შორის ხორციელდება იმგვარად, რომ პატივი ეცეს არასრულწლოვანის სამართლებრივ სტატუსს. ხელი შეუწყოს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და გამოირიცხოს მისთვის ზიანის მიყენება საქმის გარემოებათა სათანადოდ გათვალისწინებით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

პრინციპში, 10.1. წესი შედის მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 32-ე წესში 69 (მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ-სტანდარტული წესები და შესაბამისი რეკომენდაციები მიიღეს 1955 წელს (იხ. გაეროს პირველი კონგრესი დამნაშავეობის აღკვეთის და სამართალდამრღვევებთან მოპყრობის შესახებ, ჟენევა, 1995 წლის 22 აგვისტო-3 სექტემბრი. სამდივნოს მოხსენება (გაეროს გამოცემა. გაყიდვაშია №R 1956. IV.4) თავის 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციაში

ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მიიღო მინიმალური სტანდარტული წესები და რეკომენდაციები, რომლებიც ეხება პერსონალის მოძიებას და მომზადებას პენიტენციარული და გამასწორებელი დაწესებულებებისათვის, ასევე, რეკომენდაციები მეტნაკლებად ღია პენიტენციარული და გამოსასწორებელი დაწესებულებების შესახებ. საბჭომ რეკომენდაცია მისცა მთავრობებს, დადებითად შეხვდნენ მინიმალური სტანდარტული წესების მიღებას და გამოყენების საკითხს და შესაძლებლობის ფარგლებში ანგარიში გაუწიონ ორი სხვადასხვა ჯგუფის რეკომენდაციებს პენიტენციარული და გამოსასწორებელი დაწესებულებების მართვის დროს. ახალი 95-ე წესი ჩართული იქნა ეკონომიკური და სოციალური (საბჭოს დადგენილების საფუძველზე, რომელიც მითითებულია საბჭოს 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციაში, სრული ტექსტი მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებისა შედის დოკუმენტში-ადამიანის უფლებები: საერთაშორისო ხელშეკრულების კრებული).

გათავისუფლების საკითხს (წესი 10.2.) დაუყოვნებლივ განიხილავს მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური თანამდებობის პირი ან დაწესებულება, ამ სიტყვის ყველაზე უფრო ფართო გაგებით, საზოგადოებრივი ორგანოების ან პოლიტიკური ხელისუფლების ჩათვლით, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება გაათავისუფლონ დაპატიმრებული პირი (იხ. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. მუხლი 9.3.).

წესი 10.3. ეხება პროცედურის ზოგიერთ ძირითად ასპექტს და პოლიციელების და სხვა თანამდებობის პირების ყოფაქცევას არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის. საყოველთაოდ აღიარებული გამოთქმა "თავი აარიდონ ზიანის მიყენებას", წარმოადგენს მოქნილ ფორმულირებას და მოიცავს ყოველგვარი ქმედებების მრავალ მხარეს (მაგალითად: მიმართვის უხეში ფორმები, ფიზიკური ძალადობა, გარეშემცველთა მხრივ საყვედური). მართლმსაჯულების

პროცესში მონაწილეობაც კი შეიძლება არასრულწლოვანისათვის "ზიანის მიყენებას" წარმოადგენდეს. ამიტომ, ტერმინი "თავი აარიდონ ზიანის მიყენებას", უნდა გაგებული იქნეს უფრო ფართოდ - როგორც არასრულწლოვანისათვის რაც შეიძლება ნაკლები ზიანის მიყენება, ასევე ნებისმიერი სახის დამატებითი და გადამეტებული ზიანის რაც შეიძლება ნაკლებად მიყენება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების ორგანოებთან პირველი კონტაქტის დროს. ამან შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არასრულწლოვანის დამოკიდებულებაზე სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი. ამას გარდა, ყოველი შემდგომი ჩარევის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მსგავს თავდაპირველ კონტაქტებზე. ამასთან, მნიშვნელოვანია თანაგრძნობა, და რბილი, მაგრამ მომთხოვნი მიდგომა.

11. საქმის შეწყვეტა

11.1. არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმის განხილვისას შეძლების მიხედვით არ არის საჭირო საქმის ოფიციალური განხილვა 14.1. წესში მითითებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ;

11.2. პოლიცია, პროკურატურა ან სხვა ორგანოები, რომელნიც წარმართავენ არასრულწლოვანის საქმეს, უფლებამოსილი უნდა იყვნენ მიიღონ გადაწყვეტილებები თავად, საქმის ოფიციალურად მოსმენის გარეშე, რომელიც დადგენილია სამართლებრივ სისტემაში მიღებული კრიტერიუმების და მოცემულ წესებში არსებული პრინციპების თანახმად;

11.3. საქმის განხილვის შეწყვეტა, რაც დაკავშირებულია შესაბამისი სხვა სამსახურებისათვის გადაცემასთან, ხდება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის, მისი მშობლების ან მზრუნველის თანხმობით, იმ პირობით, რომ ამგვარი გა-

დაწყვეტილება ექვემდებარება გადასინჯვას ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადების საფუძველზე.;

11.4. არასრულწლოვანთა საქმეების გადასინჯვის დისკრედიტაციული ხასიათის უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის აუცილებელია განხილულ იქნეს ჩარჩოებში ისეთი პროგრამები, როგორიც არის დროებითი მეთვალყურეობის და ხელმძღვანელობის განხორციელება, რესტიტუცია და დაზარალებულთათვის კომპენსაციის მიცემა.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

საქმის შეწყვეტა, მისი ამოღება სისხლის სამართლის წარმოებიდან და გადაცემა დამხმარე სამსახურებისათვის ჩვეულებრივი პრაქტიკაა ოფიციალურ და არაოფიციალურ ნიადაგზე მრავალ სამართლებრივ სისტემაში. ეს პრაქტიკა საშუალებას იძლევა, შეიზღუდოს არასრულწლოვანის მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების ნეგატიური შედეგები (მაგალითად, ნასამართლობის და განაჩენის დაღი). მრავალ შემთხვევაში საუკეთესო შედეგებს იძლევა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მხრივ ჩაურევლობა. ამგვარად, საქმის შეწყვეტას დასაწყისშივე, ალტერნატიული (სოციალური) სამსახურებისათვის გადაცემის გარეშე, შეიძლება ოპტიმალური შედეგი ჰქონდეს. ეს განსაკუთრებით ეხება საქმეებს, როცა არ მომხდარა სერიოზული დარღვევები და როცა ოჯახს, სკოლას ან სხვა ინსტიტუტებს, რომლებიც ახორციელებენ არაოფიციალურ სოციალურ კონტროლს, უკვე მიღებული აქვთ ან აპირებენ მიიღონ ზემოქმედების შესაბამისი კონსტრუქციული ზომები.

როგორც 11.2. წესშია მითითებული, საქმის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე პოლიციის, პროკურატურის ან სხვა დაწესებულების, მაგალითად - სასამართლოების, ტრიბუნალების, საბჭოების ან კომისიების მიერ. ეს შეიძლება განხორციელდეს ერთი,

რამდენიმე ან ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ შესაბამისი სისტემის წესების, პოლიტიკის და მოცემული წესების გათვალისწინებით საქმის შეწყვეტა ეხება როგორც მცირე ისე მნიშვნელოვან საქმეებს.

11.3. წესში ხაზგასმულია, რომ მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის (ან მისი მშობლის, ან მზრუნველის) აუცილებელი თანხმობა საქმის შეწყვეტის რეკომენდირებულ ფორმაზე. ამ თანხმობის გარეშე საქმის გადაცემა სხვა სამსახურისათვის ეწინააღმდეგება კონვენციას იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ 70, (კონვენცია № 105 მიღებულია 1957 წლის 15 ივნისს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის მიერ, მის მეორმოცე სესიაზე. ტექსტის შესახებ იხ.შენიშვნა 67) მაგრამ ამგვარი თანხმობა შეუცვლელი არ არის, ვინაიდან თანხმობა შეიძლება განაცხადოს სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფმა არასრულწლოვანმა. წესში ხაზგასმულია, რომ მინიმუმამდე უნდა დავიდეს საქმის შეწყვეტის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე იძულების და დაშინების შესაძლებლობა. არასრულწლოვანი არ უნდა გრძნობდეს ზეგავლენას (მაგალითად, სასამართლო პროცესისათვის თავის არიდების მიზნით). მასზე არ უნდა ახდენდნენ გავლენას საქმის შეწყვეტის ამა თუ იმ ფორმაზე დათანხმების გამო, ამიტომ ივარაუდება შემუშავდეს დებულება ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მიუღებლობის შეფარდების შესახებ, "ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადების საფუძველზე" (ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო შეიძლება იყოს სხვა, ვიდრე მითითებულია მე-14 წესში).

11.4. წესში რეკომენდირებულია დებულება, რომელიც შეიცავს არასრულწლოვანის მიმართ მართლმსაჯულების ეფექტურ ალტერნატივებს საქმის შეწყვეტის და მისი გადაცემის ფორმით, განსაკუთრებით რეკომენდირებულია პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებენ მსხვერპლისათვის საქმის მოგვარებას რესტიტუციის გზით და ყველა ზომის მიღებას, რათა მომავალში გამოირიცხოს კანონის დარღვევა

დროებითი ზედამხედველობის და ხელმძღვანელობის განხორციელების გზით, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით საქმე შეიძლება შეწყდეს უფრო სერიოზული სამართალდარღვევის შემთხვევაშიც (მაგალითად, პირველი სამართალდარღვევა: დანაშაული, ჩადენილი მეგობართა წაქეზებით და სხვა).

12. პოლიციის სპეციალიზაცია

12.1. თავისი ფუნქციების საუკეთესოდ აღსრულებისათვის პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც ხშირად ან მუდმივად არიან დაკავებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებით ან თანამშრომლები, რომლებიც ძირითადად არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთაზე მუშაობენ, გადიან სპეციალურ ინსტრუქტაჟს და მომზადებას. ამ მიზნით დიდ ქალაქებში უნდა შეიქმნას პოლიციის სპეციალური დანაყოფები.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მე-12 წესში ყურადღება ექცევა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულებაში მონაწილე ყველა თანამდებობის პირის სპეციალური მომზადების აუცილებლობას. ვინაიდან, პოლიციასთან ურთიერთობა არასრულწლოვნების პირველი კონტაქტია მართლმსაჯულების სისტემასთან, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მან იმოქმედოს კვალიფიციურად და ჯეროვნად. თუმცა ურბანიზაციასა და დამნაშავეობას შორის კავშირის საკითხი მეტად რთულია, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ზრდა დაკავშირებულია დიდი ქალაქების სწრაფ და არაგეგმიურ ზრდასთან. ამიტომ, პოლიციის სპეციალური დანაყოფები აუცილებელია არა მხოლოდ მოცემულ დოკუმენტში მითითებული კონკრეტული

პრინციპების (წესი 1.6.) დასაცავად, არამედ უფრო ზოგადად - არასრულწლოვანთა დამნაშავეობის აღკვეთის და მასთან ბრძოლის ეფექტურობის, ასევე არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

13. დაპატიმრება სასამართლომდე

13.1. სასამართლომდე დაპატიმრება წარმოადგენს უკიდურეს ზომას და ხორციელდება ხანმოკლე დროით;

13.2. სასამართლომდე დაპატიმრება შესაძლეობლობის მიხედვით იცვლება სხვა ალტერნატიული ზომით, მაგალითად - მედმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი მუშაობა, ან მოთავსება ოჯახში, აღსაზრდელთა დაწესებულებაში ან სახლში;

13.3. არასრულწლოვანი, რომელიც დაპატიმრებულია სასამართლომდე, სარგებლობს გაეროს მიერ მიღებული დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ყველა უფლებით და გარანტიით;

13.4. სასამართლომდე დაპატიმრებული არასრულწლოვნები თავსდებიან მოზრდილთაგან განცალკევებით, სპეციალურ დაწესებულებებში ან ამგვარი დაწესებულების სპეციალურ განყოფილებაში, რომელშიც არ იმყოფებიან უფროსები;

13.5. დაპატიმრებული არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და ყველა აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, ასევე დახმარებით განათლების და პროფესიული მომზადების სფეროში, რომელიც შეიძლება მათ დასჭირდეთ ასაკის, სქესის და პიროვნულობის გათვალისწინებით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ანგარიში უნდა გაეწიოს "სისხლის სამართლის გავლენის" საშიშროებას არასრულწლოვანებზე, რომლებიც სასამართლომდე არიან დაკავებული. ამიტომ, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით 13.1. წესში წახალისებულია ახალი და ნოვატორული ზომების მიღება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სასამართლომდე დაპატიმრება არასრულწლოვანის კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

სასამართლომდე დაკავებული არასრულწლოვნები სარგებლობენ დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესებით. ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, განსაკუთრებით მე-9 მუხლით და მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებით და გარანტიებით.

წესი 13.4. არ ეწინააღმდეგება, რომ სახელმწიფოებმა მიიღონ განსხვავებული ზომები მოზრდილი სამართალდამრღვევების უარყოფითი გავლენის წინააღმდეგ. ეს ზომები ისევე ეფექტურია, როგორც მოცემულ წესში მითითებული ღონისძიებანი.

დახმარების სხვადასხვა სახეები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, ჩამოთვლილია, რათა ყურადღება მიექცეს დაპატიმრებული ახალგაზრდების (მაგალითად, ნარკომანების, ალკოჰოლიკების, გონებრივად დააყადებულების, პატიმრობის საფუძველზე ფსიქოლოგიურად ტრავმირებულების და ა.შ.) განსაკუთრებულ მოთხოვნილებებს.

დაპატიმრებული ახალგაზრდების განსხვავებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი შეიძლება გახდეს საფუძველი იმ ღონისძიებათა კლასიფიკაციისა, რომელთა საფუძველზე ზოგიერთი ახალგაზრდა სასამართლომდე დაპატიმრებულია ცალკე, რაც არ აზიანებს მას და

საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს გაწეული მისთვის აუცილებელი დახმარება.

დამნაშავეობის აღკვეთისა და დაპატიმრებულებთან მოპყრობის გაეროს VI კონგრესმა თავის რეზოლუციებში 4/63 არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სტანდარტების შესახებ მიუთითა, რომ წესებმა უნდა ასახოს ძირითადი პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომდე დაკავება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა. რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები არ უნდა იმყოფებოდნენ მოზარდების უარყოფითი გავლენის ქვეშ და რომ შუდამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განვითარების მათი დონისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე

სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანა და სასჯელის ზომის არჩევა

14. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო, რომელსაც გამოაქვს სასამართლო გადაწყვეტილება

14.1. თუ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე არ იქნა შეწყვეტილი (მე-11 წესის თანახმად), მას უძღვება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო (სასამართლო, ტრიბუნალი, საბჭო, კომისია და ა.შ.) სამართლიანი და მიუმხრობელი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად.

14.2. სასამართლოს წესით საქმის განხილვა უნდა პასუხობდეს არასრულწლოვანის ინტერესებს და ხორციელდებოდეს ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რაც არასრულწლოვანს საშუალებას მისცემს, მიიღოს მასში მონაწილეობა და თავისუფლად გადმოსცეს თავისი მოსაზრება.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ძნელია განისაზღვროს კომპეტენტური ორგანო ან პირი, რომელიც უნივერსალურად აღწერს ხელისუფლების ორგანოს, რომელსაც გამოაქვს სასამართლო განაჩენი. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოში იგულისხმებიან ის პირნიც, რომლებიც ხელმძღვანელობენ სასამართლოს ან ტრიბუნალს (ერთი მოსამართლე ან რამოდენიმე წევრი). პროფესიონალი მოსამართლეების და არა იურისტი პირების ჩათვლით, ასევე ადმინისტრაციული კომისიები (მაგალითად, შოტლანდიურ და სკანდინავიურ სისტემებში) ან ნაკლებად ოფიციალური ორგანოები და სასამართლოს ტიპის დაწესებულებანი, რომლებიც წყვეტენ კონფლიქტებს.

არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პროცედურა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეესაბამებოდეს მინიმალურ სტანდარტულ წესებს, რომლებიც გამოიყენება თითქმის ყველგან, ყოველი დამნაშავისადმი, "სათანადო კანონიერი პროცედურის" სახელით ცნობილი პროცედურის შესაბამისად. სათანადო პროცედურის შესაბამისად, ცნება - "სამართლიანი და მიუმხრობელი სასამართლო" - მოიცავს ისეთ ძირითად გარანტიებს, როგორიც არის უდანაშაულობის პრეზუმფცია, საბუთების წარდგენა და შესწავლა, საერთო სამართლებრივი დაცვა, ჩვენებაზე უარის თქმის უფლება, საბოლოო სიტყვის უფლება და ა.შ. (იხ. აგრეთვე წესი 7.1.).

15. ა დ ვ ო კ ა ტ ი, მ შ ო ბ ლ ე ბ ი და მ ზ რ უ ნ ვ ე ლ ე ბ ი

15.1. სასამართლოს წესით განხილვის დროს, არასრულწლოვანს უფლება აქვს, წარდგენილი იყოს ადვოკატის წინაშე ან მიმართოს უფასო სამართლებრივ დახმარებას, თუ

ამგვარი დახმარების გაწევა გათვალისწინებულია მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით.

15.2. მშობლებს ან მზრუნველს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სასამართლოს წესით საქმის განხილვაში და ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე. მაგრამ, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია უარი თქვას მათ დასწრებაზე, თუ თვლის, რომ ეს აუცილებელია და კეთდება არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მე-15 წესში გამოიყენება ტერმინოლოგია, რომელიც ანალოგიურია დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 67-ე და 93-ე წესისა. თუ დებულება ადვოკატის და უფასო სამართლებრივი დახმარებას შორის აუცილებელია არასრულწლოვანისათვის სამართლებრივი დახმარების გასაწევად, მე-15.2. წესში მითითებული, მშობლების ან მზრუნველის მონაწილეობა შეიძლება ჩაითვალოს არასრულწლოვანისათვის საერთო ფსიქოლოგიურ და ემოციურ დახმარებად; - "ფუნქციად, რომელიც უნდა შესრულდეს სასასამართლოს წესით საქმის განხილვის პროცესში".

ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოებისათვის, რომლებიც ესწრაფვიან სათანადოდ განიხილონ საქმე, სასარგებლო იქნებოდა თანამშრომლობა არასრულწლოვანის იურიდიულ წარმომადგენლებთან (ან რომელიმე სხვა დამხმარესთან, რომელსაც არასრულწლოვანი შეიძლება, ენდოს და ნამდვილად ენდობა). ამ დებულებამ მნიშვნელობა შეიძლება დაკარგოს იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლების ან მზრუნველის დასწრება საქმის მოსმენის დროს უარყოფით გავლენას ახდენს - მაგალითად, ისინი ავლენენ

მტრულ დამოკიდებულებას არასრულწლოვანისადმი, ამიტომ, გათვალისწინებული უნდა იყოს მათ დასწრებაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

16. მოხსენებები სოციალური გამოკვლევების შედეგების შესახებ

16.1. ყველა შემთხვევაში, გარდა უმნიშვნელო სამართალდარღვევებისა, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რომელიც წინ უძღვის განაჩენს, აუცილებელია, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი გარემო და პირობები, რომლებშიც ცხოვრობს არასრულწლოვანი ან გარემოებები, რომლებშიც ჩადენილი იქნა დანაშაული, ეს საჭიროა, რათა გამოტანილ იქნეს სამართლიანი სასამართლო გადაწყვეტილება.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

სოციალური გამოკვლევების შედეგების შესახებ მოხსენებები (სოციალური დასკვნები ან მოხსენებები გადაწყვეტილების გამოტანამდე) შეუცვლელ დახმარებას უწევენ არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლოს წესით განხილვას. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა იცოდნენ არასრულწლოვანის შესახებ არსებული შესაბამისი ფაქტების შესახებ, მაგალითად, მისი სოციალური და საოჯახო გარემოცვის, სკოლაში სწავლის, აღზრდის შესახებ და ა.შ. ამ მიზნით ზოგიერთ სასამართლო სისტემაში გამოიყენება სპეციალური სოციალური სამსახურები ან თანამშრომლები, რომლებიც ასრულებენ ამ ფუნქციებს, სასამართლოების ან კომისიებისათვის ამ ფუნქციების შესრულება შეუძლიათ

სხვა თანამშრომლებსაც, მათ შორის - პრობირების სისტემის თანამდებობის პირებსაც, ამიტომ მოცემული წესში მითითებულია, რომ აუცილებელია შესაბამისმა სოციალურმა სამსახურებმა კვალიფიციურად მოამზადონ მოხსენებები სოციალური გამოკვლევების შედეგებზე.

17. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის და ზემოქმედების ზომების შერჩევის სახელმძღვანელო პრინციპები

17.1. ზემოქმედების ზომების შერჩევის დროს კომპეტენტურმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

a) ზემოქმედების ზომები ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ სამართალდარღვევის გარემოებებს და სიმძიმეს, არამედ არასრულწლოვანის მდგომარეობას და მოთხოვნილებებს, ასევე, საზოგადოების მოთხოვნილებებსაც;

b) გადაწყვეტილება, არასრულწლოვანის პირადი თავისუფლების შეზღუდვის შესახებ,მიიღება მხოლოდ საკითხის საფუძვლიანად განხილვის შემდეგ. შეზღუდვა, რამდენადაც შესაძლებელია, მინიმუმამდე უნდა დავიდეს;

c) არასრულწლოვანს პირადი თავისუფლება აღეკვეთება იმ შემთხვევაში, თუ მას ჩადენილი აქვს სერიოზული დანაშაული სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან მრავალჯერ აქვს ჩადენილი სერიოზული დანაშაულები; ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს ზემოქმედების სხვა შესატყვისი ღონისძიება;

d) არასრულწლოვანის საქმის განხილვის დროს განმსაზღვრელი ფაქტორი უნდა იყოს მისი კეთილდღეობა;

17.2. არასრულწლოვანი არც ერთი დანაშაულისათვის არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით.

17.3. არასრულწლოვანი ფიზიკურად არ ისჯება;

17.4. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ახალგაზრდობის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების ძირითადი სიძნელე განპირობებულია გადაუჭრელი ფილოსოფიური ხასიათის წინააღმდეგობებით, რომლებიც არსებობს:

a) გამოსწორებასა და სამაგიეროს მიზღვევას;

b) დახმარებას, აღკვეთასა და დასჯას;

c) კონკრეტული საქმის განსაკუთრებული გარემოებების გათვალისწინებით დადგენილი ზემოქმედების ზომას და მთელი საზოგადოების დაცვის ინტერესების შესატყვის ზემოქმედების ზომას;

d) ზოგადად გაფრთხილებასა და ინდივიდუალურ სასჯელს შორის.

ამ მიდგომათა შორის არსებული წინააღმდეგობა უფრო ნათლად გამოვლინდება არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დროს, ვიდრე მოზრდილთა საქმეების განხილვისას, არასრულწლოვანთა საქმეებისათვის დამახასიათებელი მიზეზების და შედეგების მრავალფეროვნების გამო ამ ალტერნატივათა შორის რთული ურთიერთკავშირია.

არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების მინიმალური სტანდარტული წესები არ აკანონებს რომელიმე სახის მიდგომას. არამედ მიუთითებს, რომელი მიდგომა შეესაბამება ყველაზე მეტად საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. ამიტომ 17.1. წესში მითითებული ძირითადი დებულებანი, კერძოდ - a და c ქვეპუნქტები,

მიჩნეული უნდა იქნეს პრაქტიკულ სახელმძღვანელო პრინციპებად, რომლებიც ათვლის წერტილს წარმოადგენს. თუ შესაბამისი ორგანოები (იხ. აგრეთვე წესი 5) გაითვალისწინებენ მათ, შეიძლება მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფილი გახდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების ძირითადი უფლებების - განსაკუთრებით - პიროვნული განვითარების და განათლების მიღების უფლებების განხორციელება.

17.1. წესის b ქვეპუნქტში მითითებულია, რომ მიუღებელია წმინდა სადამსჯელო ხასიათის მიდგომა. თუ მოზრდილთა საქმეებში ან ზოგჯერ, არასრულწლოვანთა სერიოზული სამართალდარღვევების შემთხვევებში, სასჯელი და სადამსჯელო სანქციები გარკვეულად გამართლებულია, არასრულწლოვანთა საქმეებში ამგვარ მოსაზრებებზე მაღლა უნდა იდგეს ახალგაზრდობის მომავლისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის ინტერესები.

გაეროს VI კონგრესის მე-8 რეზოლუციის შესატყვისად

17.1 წესის b ქვეპუნქტი ხელს უწყობს დაკავების ალტერნატიული ზომების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენებას, ახალგაზრდობის კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობის ვათვალისწინებით. ამიტომ, საჭიროა, სრულიად იქნეს გამოყენებული არსებული ალტერნატიული ღონისძიებების მთელი დიაპაზონი და შემუშავდეს ახალი ალტერნატიული ღონისძიებანი საზოგადოების უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით მაქსიმალურად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული პრობაციის სისტემა პირობითი სასჯელების გამოტანის, მათი შესრულების გადადების, საბჭოების დადგენილებების და სხვა სახის გადაწყვეტილებების გზით.

17.1. წესის c ქვეპუნქტი პასუხობს მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუციის სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა მიზანია - თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანის საპყრობილეში დაკავება, გარდა შემთხვევებისა, როდესაც

არ არსებობს სხვა შესატყვისი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების უსაფრთხოებას.

17.2. წესში მითითებული სიკვდილით დასჯის აკრძალვა პასუხობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 და მე-5 მუხლებს.

დებულება ფიზიკური დასჯის აკრძალვის შესახებ შეესიტყვისება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯისაგან დაცვის შესახებ დეკლარაციას, ბავშვთა უფლებების კონვენციის პროექტს.

ნებისმიერ დროს სასამართლოს წესით საქმის განხილვის შეწყვეტის უფლება (წესი 17.4.) წარმოადგენს განმასხვავებელ ნიშანს, რომლითაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის პრაქტიკა განსხვავდება მოზრდილებთან მოპყრობის პრაქტიკისაგან. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია შეაფასოს გარემოებანი და მათ საფუძველზე შეწყვიტოს საქმის განხილვა, რაც საკითხის საუკეთესო გადაწყვეტა იქნება.

18. ზემოქმედების სხვადასხვა ღონისძიებანი

18.1. მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის და შესაძლებლობის ფარგლებში, არასრულწლოვანის გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსების თავიდან აცილების მიზნით, ხელისუფლების კომპეტენტური ორგანო საქმის განხილვისას უნდა ფლობდეს ზემოქმედების ღონისძიებათა კომპლექსს. ამგვარი ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს ერთმანეთთან შეფარდებით, შემდეგია:

a) დადგენილებები მზრუნველობის, ხელმძღვანელობის და ზედამხედველობის შესახებ;

b) პრობაცია;

c) დადგენილებები საზოგადოების კეთილდღეობისათვის სასარგებლო სამუშაოს შესრულების შესახებ;
d) ფინანსური სასჯელები, კომპენსაცია და რესტიტუცია;
e) დადგენილებები შუალედური და სხვა სახის ღონისძიებების მიღების შესახებ;
f) დადგენილებები ჯგუფურ ფსიქოთერაპიის და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ;
g) დადგენილებები, რომლებიც ეხება აღსაზრდელად გადაცემას. საცხოვრებელ ადგილს ან სხვა აღმზრდელობით ღონისძიებებს.
h) სხვა სახის შესაბამისი დადგენილებები.

18.2. არც ერთი არასრულწლოვანი არ უნდა ჩამოაშორონ არც ნაწილობრივ, არც სრულებით მშობელთა ზედამხედველობას, თუ ეს არ არის ნაკარნახევი მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

18.2. წესში არის ცდა, ჩამოთვლილი იქნეს ზოგიერთი ძირითადი ღონისძიება ზემოქმედების და სანქციებისა, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში. მოლიანობაში ისინი პერსპექტიულია და იმსახურებს გამოყენებას და შემდგომ განვითარებას. ამ წესში არ არის მითითებული რაიმე მოთხოვნები პერსონალის მიმართ, ვინაიდან შეიძლება ზოგ რაიონებში შესაბამისი პერსონალი არ არსებობდეს. ამ რეგიონებში შეიძლება შემუშავდეს და გამოყენებულ იქნეს ღონისძიებანი, რომელთა განსახორციელებლად საკმარისია მცირერიცხოვანი პერსონალი.

18.1. წესში მითითებული შემთხვევებისათვის საერთოა, უპირველეს ყოვლისა, დაყრდნობა თემაზე, როგორც ალტერნალიული ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების ინსტრუმენტზე. გამოსწორება თემის მეშვეობით,

წარმოადგენს ტრადიციულ ღონისძიებას, რომელიც თავის თავში მოიცავს მრავალ ასპექტს. ამიტომ შესაბამისმა ხელისუფლებამ დახმარება უნდა გაუწიოს თემს.

18.1. წესში მითითებულია ძირითადად ოჯახის როლზე, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 10.1. მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს "საზოგადოების ბუნებრივ და ძირითად უჯრედს", ოჯახის ფარგლებში მშობლებს არა მარტო უფლება აქვთ, არამედ ვალდებულნი არიან იზრუნონ ბავშვებზე და მეთვალყურეობა გაუწიონ მათ, ამიტომ 18.2. წესის თანახმად, ბავშვებისა და მშობლების დაცილება წარმოადგენს უკიდურეს ზომას. მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ სერიოზულ ნაბიჯს ამართლებს საქმესთან დაკავშირებული ფაქტები (მაგალითად ბავშვებთან სასტიკი მოპყრობა).

19. მინიმალურად გამოყენება ღონისძიებებისა, რომლებიც ითვალისწინებენ გამოსასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებას

19.1. არასრულწლოვანის მოთავსება, რომელიმე გამოსასწორებელ დაწესებულებაში უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისიძებას და გამოყენებულ უნდა იქნეს მინიმალური ვადით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

პროგრესული კრიმინოლოგია უპირატესობას აძლევს იმ ღონისძიებათა გამოყენებას, რომელიც არ ითვალისწინებს

გამოსასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებას. დადგენილია, რომ გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსების საუკეთესო შედეგები მხოლოდ მცირედ განსხვავდება ამ ღონისძიების გამოყენების გარეშე მიღწეული შედეგებისაგან. მრავალრიცხოვანი არახელსაყრელი შედეგი გამოსასწორებელ დაწესებულებაში მყოფი პიროვნებისათვის ვერ იქნება კომპენსირებული გამოსასწორებელი სამუშაოებით. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვნებს, რომლებიც ადვილად ექცევიან უარყოფითი გავლენის ქვეშ. ამას გარდა, თავისუფლების აღკვეთისა და საზოგადოებისაგან იზოლაციის ნეგატიური შედეგები უფრო მეტად აისახება არასრულწლოვნებში, ვიდრე მოზრდილებში, ვინაიდან ისინი პიროვნული განვითარების საწყის სტადიაზე იმყოფებიან.

მე-19 წესის მიზანია, ორნაირად შეზღუდოს გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსება: ხარისხობრივად ("უკიდურესი ზომა") და დროის თვალსაზრისით ("მინიმალური ვადა"). მე-19 წესში ასახულია გაეროს VI კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი: არასრულწლოვანი დამნაშავე არ უნდა იქნეს მოთავსებული ციხეში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვერ გატარდება სხვა შესაბამისი ღონისძიება. ამიტომ, მოცემულ წესში არის მითითება, რომ ისეთ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანი უნდა მოთავსდეს გამოსასწორებელ დაწესებულებაში, თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიზღუდოს მინიმალური აუცილებელი ვადით და ამასთან, უნდა გაითვალისწინონ სპეციალური ორგანიზაციული ღონისძიებანი არასრულწლოვანთა მოვლისათვის. ასევე, უნდა გაითვალისწინონ სამართალდარღვევების და დაწესებულებების სხვადასხვა ტიპები. ფაქტიურად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს "ღია" დაწესებულებებს "დახურულთან" შედარებით, ამას გარდა, ყველა დაწესებულება უნდა იყოს არა საპყრობილის ტიპისა, არამედ გამოსასწორებელი ან შემეცნებითი.

20. არასაჭირო დაკავებების თავიდან აცილება

20.1. არასრულწლოვანის ნებისმიერი საქმე თავიდანვე უნდა წარიმართოს სწრაფად, არ უნდა მოხდეს არასაჭირო დაკავებანი.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

არასრულწლოვანთა საქმეების ოფიციალური სამართალწარმოების სწრაფად განხორციელება უპირველესი ამოცანაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერი დადებითი, რაც შეიძლება მიღწეული იყოს საქმის განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის პროცესში, საფრთხის ქვეშ დგება. დროთა განმავლობაში არასრულწლოვანს უფრო და უფრო გაუჭირდება, ხოლო ზოგჯერ, შეუძლებელიც არის ლოგიკურად და ფსიქოლოგიურად დაუკავშირდეს სასამართლოს წესით საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა სამართალდარღვევას.

21. ო ბ ი ე ქ ტ ი

21.1. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები უნდა ინახებოდეს მკაცრად კონფიდენციალურად და არ უნდა გადაეცეს მესამე პირს. ამ მასალების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ პირებს, რომლებიც დაკავებული არიან მოცემული საქმის განხილვით, ან სხვა პირებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილებანი.

21.2. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა საქმეების მასალები არ უნდა გამოიყენებოდეს მოზრდილი სამართალ-

დამრღვევების საქმეების განხილვის დროს იმ შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება იმავე სამართალდარღვევას.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ამ წესში არის ცდა მიღწეული იქნეს თანასწორობა ოქმებთან ან საქმის მასალებთან დაკავშირებულ კონფლიქტურ ინტერესებს, კერძოდ, - პოლიციის ორგანოების, პროკურატურის და სხვა ორგანოების - ინტერესებს შორის, რათა სრულყოფილად შესრულდეს ზედამხედველობის ფუნქციები და დაცულ იქნეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესები (იხ. აგრეთვე წესი 8). გამოთქმა "სხვა პირები, რომელთაც აქვთ შესაბამისი უფლებამოსილებანი", ჩვეულებრივ გულისხმობს სხვა პირთა შორის, გამომძიებლებს.

22. პროფესიონალიზმის და მომზადების აუცილებლობა

22.1. არასრულწლოვანთა საქმეებით დაკავებული მთელი პერსონალის აუცილებელი პროფესიონალური კომპეტენტურობის უზრუნველყოფის და შენარჩუნებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს პროფესიული მომზადება, სწავლება მუშაობის პროცესში, გადამზადების კურსები და სწავლების სხვა შესაბამისი სახეები.

22.2. არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების ორგანოების პერსონალი უნდა შეირჩეს არასრულწლოვანთა სხვადასხვა კატეგორიის გათვალისწინებით, რომლებიც კონ-

ტაქტში შედიან არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების სისტემასთან. საჭიროა, ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილი იყოს არასრულწლოვანთა საქმეების მართლმსაჯულების ორგანოებში ქალების ეროვნული უმცირესობების სამართლიანი წარმომადგენლობა.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

პირებს, რომელთა კომპეტენციაში არასრულწლოვანთა შესახებ გადაწყვეტილებების მიღებას შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა კვალიფიკაცია (მაგისტრები დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში და ჩრდილოეთ ირლანდიასა და რეგიონებში, რომლებიც საერთო სამართლის სისტემის გავლენის ქვეშ არიან; მოსამართლენი, რომელთაც იურიდიული განათლება აქვთ, ქვეყნებში,რომლებიც რომაულ სამართალს იყენებენ და რეგიონებში,სადაც ვრცელდება მათი გავლენა, არჩევითი ან დანიშნული პირები, რომლებიც არ არიან პროფესიონალი იურისტები ან იურისტები სხვა ქვეყნებში, სათემო საბჭოების წევრები და სხვა). ყველა ამ პირს უნდა ჰქონდეს მინიმალური მომზადება სამართლის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, კრიმინოლოგიის და ყოფაქცევის შესახებ მეცნიერების სფეროში. ამ მოთხოვნას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ორგანიზაციულ სპეციალიზაციას და დამოუკიდებლობას.

ნაკლებად არის შესაძლებელი სოციალური სექტორის მუშაკებს და პრობაციის სისტემის თანამდებობის პირებს მოვთხოვოთ პროფესიონალური სპეციალიზაცია, როგორც თავდაპირველი პირობა მათთვის ნებისმიერი ფუნქციის გადაცემისას არასრულწლოვან დამნაშავეებთან დაკავშირებით. ამიტომ პროფესიონალური ინსტრუქტაჟი მათი მუშაობის პერიოდში წარმოადგენს მინიმალურ აუცილებელ კვალიფიკაციას.

პროფესიონალური კვალიფიკაცია აუცილებელი ელემენტია არასრულწლოვანთა მიმართ მიუკერძოებელი და ეფექტური სამართალწარმოების აღსრულებისათვის, ამიტომ აუცილებელია გაუმჯობესდეს პერსონალის შერჩევა, დაწინაურება და პროფესიონალური მომზადება. იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საშუალებებით, რომელთა მეშვეობით შეძლებს შესაბამისად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები.

არასრულწლოვანთა მიმართ მიუმხრობელი სამართალწარმოების მიღწევებისათვის ადგილი არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციას პოლიტიკურ, სქესობრივ, რასობრივ, კულტურულ ან ნებისმიერ სხვა საფუძველზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში მომუშავე პერსონალის შერჩევის, დანიშვნის და დაწინაურების დროს. ასეთი იყო VI კონგრესის რეკომენდაცია. ამას გარდა, VI კონგრესმა მოუწოდა წევრ-სახელმწიფოებს უზრუნველყონ სისხლის სამართლის სისტემაში ქალი-თანამშრომლების სამართლიანი და თანასწორუფლებიანი მდგომარეობა. რეკომენდაცია მისცა, რომ ჩაატარონ სპეციალური ღონისძიებანი არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემაში ქალი-თანამშრომლების მომზადებისა და დაწინაურების ხელშეწყობისათვის.

ნაწილი მეოთხე

სამართალდამრღვევებთან მოპყრობა გამოსასწორებელი დაწესებულებების გარეთ

23. გადაწყვეტილებების ეფექტურად შესრულება

23.1. საჭიროა გადასინჯული იქნეს შესაბამისი დებულებანი 14.1. წესში მითითებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ თავად ამ ორგანოს ან ნებისმიერი სხვა ორგანოს მიერ, გარემოებათა თანახმად.

23.2. ამგვარი დებულებანი უნდა შეიცავდეს კომპეტენტური ორგანოს უფლებას - პერიოდულად, აუცილებლობის შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებები დადგენილებებში იმ პირობით, რომ ამგვარი ცვლილებები შესაბამისობაში იქნება მოცემულ წესებში მითითებულ პრინციპებთან.

კომენტარი

არასრულწლოვანთა საქმეების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფრო მეტად, ვიდრე უფროსებში, შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში გავლენა პქონდეს არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ცხოვრებაზე, ამიტომ, მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების შესრულებაზე მეთვალყურეობა ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს ან დამოუკიდებელი ორგანოს (თავდებობის საქმეთა კომისიები, პრობაციის სისტემის სამსახური, ახალგაზრდობის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულება და სხვები) მიერ, რომელთა უფლებამოსილება ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს უფლებამოსილების ანალოგიურია. ამ მიზნით

ზოგიერთ ქვეყანაში შემოღებულია თანამდებობა juge de l'execution des peins.

ხელისუფლების ამ ორგანოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები მოქნილი უნდა იყოს. 23-ე წესში მოცემულია მათი აღწერა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ფართოდ გამოყენება.

24. აუცილებელი დახმარების გაწევა

24.1. საჭიროა ძალისხმევა საქმის განხილვის ყველა ეტაპზე არასრულწლოვანისათვის დახმარების გაწევის უზრუნველყოფისათვის. ასეთებია: საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, განათლების მიღება ან პროფესიული მომზადება, შრომითი მოწყობა და ნებისმიერი სხვა დახმარება, რომელიც შეიძლება სასარგებლო და პრაქტიკული აღმოჩნდეს გამოსწორების პროცესის მიზნებისათვის ხელშესაწყობად.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

უპირველესი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა კეთილდღეობისათვის ხელშეწყობას. ამიტომ 24-ე წესში ხაზგასმულია აუცილებლობა საჭირო პირობების შექმნის, დახმარების და სხვა საჭირო სამსახურის გასაწევად არასრულწლოვანის ინტერესების უზრუნველყოფისათვის გამოსწორების მთელი პროცესის მანძილზე.

25. მოხალისეთა და სხვა სათემო სამსახურების მოგილიზაცია

25.1. საჭიროა ჩაერთონ მოხალისეები, მოხალისე ორგანიზაციები, ადგილობრივი დაწესებულებები და სხვა სათემო სამსახურები, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ არასრულწლოვანთა გამოსწორების საქმეში თემთან და რამდენადაც შესაძლებელია - ოჯახთან ერთად.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ეს წესი ასახავს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მთელი მუშაობის გამოსწორებაზე ორიენტირების აუცილებლობას. ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოს მითითებათა ეფექტურად შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ თემთან ურთიერთობას. კერძოდ, მოხალისეებს და მოხალისე ორგანიზაციებს ძალზე ფასეული დახმარების გაწევა შეუძლიათ, მაგრამ დღესდღეობით მათი შესაძლებლობები არასაკმარისად არის გამოყენებული. ზოგ შემთხვევაში დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ყოფილ სამართალდამრღვევებს (მათ შორის ყოფილ ნარკომანებს).

25-ე წესი ეყრდნობა პრინციპებს, რომლებიც გადმოცემულია 1.1.-1.6. წესებში და ანალოგიურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამისი დებულებებისა.

ნაწილი მეხუთე

სამართალდამრღვევებთან მოპყრობა გამოსასწორებელ დაწესებულებებში

26. გამოსასწორებელ დაწესებულებებში სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მიზნები

26.1. გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფ არასრულწლოვნებთან ჩატარებული აღმზრდელობითი მუშაობის მიზანია მზრუნველობის, დაცვის, განათლების და პროფესიონალური მომზადების უზრუნველყოფა, რათა დაეხმაროს მათ საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებაში.

26.2. გამოსასწორებელ დაწესებულებაში არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და ყველა სახის აუცილებელი - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური დახმარებით, ასევე დახმარებით განათლების და პროფესიონალური მომზადების სფეროში, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს მათი ასაკის, სქესის და პიროვნულობის, ასევე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.

26.3. გამოსასწორებელ დაწესებულებაში არასრულწლოვნები იმყოფებიან უფროსებისაგან განცალკევებით, ან სპეციალურ გამოსასწორებელ დაწესებულებაში ან სპეციალურ განყოფილებაში იმ გამოსასწორებელი დაწესებულებისა, სადაც იმყოფებიან უფროსებიც.

26.4. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ ახალგაზრდა სამართალდამრღვევ ქალებს, მათი პირადი პრობლემებიდან და გასაჭირიდან გამომდინარე. მათთვის გარანტირებული უნდა იყოს ისეთივე მოვლა, დახმარება, მოპყრობა და პროფესიონალური მომზადება, როგორიც ახალგაზრდა სამართალდამრღვევი ვაჟებისათვისაა გათვალისწინებული.

უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი მოპყრობა მათთან.

26.5. გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნების კეთილდღეობის ინტერესები მოითხოვს, რომ მათ მშობლებს ან მათზე მზრუნველებს უფლება ჰქონდეთ მოინახულონ ისინი.

26.6. აუცილებელია წახალისდეს სამინისტროთაშორის დაწესებულებათაშორისი თანამშრომლობა შესაბამისი აკადემიური შესაძლებლობების მიხედვით პროფესიონალური მომზადების უზრუნველყოფისათვის გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნებისა, რათა მათ გამოსასწორებელი დაწესებულებებიდან გამოსვლის შემდეგ სრული განათლება ჰქონდეთ.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

გამოსასწორებელ დაწესებულებაში მყოფ სამართალდამრღვევებთან მოპყრობის მიზნები, ფორმულირებული 26.1. და 26.2. წესებში, მისაღები უნდა იყოს ნებისმიერი სისტემის და კულტურისათვის. მაგრამ ისინი არ არის მიღწეული ყველგან და, ამასთან დაკავშირებით, გასაწევია დიდი სამუშაო.

სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი ნარკომანების, აგრესიული და ფსიქიურად დაავადებული ახალგაზრდობისათვის.

აუცილებელია უფროსი სამართალდამრღვევების უარყოფითი გავლენისაგან თავის არიდება და არასრულწლოვანთა კეთილდღეობის დაცვა, როგორც მითითებულია 26.3. წესში, რაც შეესაბამება VI კონგრესის მე-4 რეზოლუციაში გადმოცემულ ამ წესების ერთერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს. ეს წესი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოების მიერ სხვა ზომების გამოყენებას უფროსი სამარ-

თალდამრღვევების უარყოფითი გავლენისაგან თავის ასარიდებლად, მაგრამ ეს ზომები მოცემულ წესებში მითითებულ წესებზე არანაკლებ ეფექტური უნდა იყოს (იხ.აგრეთვე წესი 13.4.). წესი 26.4. დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ სამართალდამრღვევ ქალებს, როგორც ეს აღინიშნა, VI კონგრესზე, ჩვეულებრივ, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე მამაკაცებს. კერძოდ, VI კონგრესის მე-9 რეზოლუცია მოუწოდებს, სამართლიანად მოეპყრან სამართალდამრღვევ ქალებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათ კონკრეტულ პრობლემებს და გასაჭირს თავისუფლების აღკვეთის პერიოდში. ამას გარდა, ეს წესი განხილულ უნდა იქნეს VI კონგრესის კარაკასის დეკლარაციის გათვალისწინებით, რომელიც მოუწოდებს სამართლიანად მოეპყრან სამართალდამრღვევ ქალებს მართლმსაჯულების დროს, ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ დეკლარაციის, ასევე ქალების მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციული მოპყრობის აღკვეთის შესახებ კონვენციის გათვალისწინებით.

დაპატიმრებულთა მონახულების უფლება (წესი 26.5.) გამომდინარეობს 7.1., 10.1., 15.2., 18.2. წესებიდან. სამინისტროთაშორისი და დაწესებულებათაშორის თანამშრომლობას (წესი 26.6.) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოსასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებულებთან მოპყრობის ხარისხის ამაღლების და მათი პროფესიონალური მომზადებისათვის.

27. გაეროს მიერ მიღებული მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენება

27.1. მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები და შესაბამისი რეკომენდაციები, რამდენადაც შესაძლებელია, გამოიყენება გამოსასწორებელ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მოპყრობის დროს. იმ სამართალდამრღვევთა ჩათვლით, რომლებიც დაკავებული არიან სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინში.

27.2. აუცილებელია ძალისხმევა, რათა რაც შეიძლება სრულად შესრულდეს მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში გადმოცემული პრინციპები არასრულწლოვანთა სხვადასხვა საჭიროების, მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები იყო პირველი ამგვარი ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მიიღო გაერომ საყოველთაო აღიარებით. მათი მოქმედება იგრძნობა მთელ მსოფლიოში. თუმცა, დღესაც არსებობს ქვეყნები, სადაც მათი განხორციელება ფაქტი კი არ არის, არამედ სურვილად რჩება. მინიმალური სტანდარტული წესები წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას, რომელიც გამოსასწორებელმა დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ ჰუმანურად და სამართლიანად.

მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში ასახულია ზოგიერთი ძირითადი სახის მოპყრობა გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისადმი (მოთავსება და აღჭურვა, საძილე მოწყობილობანი, ტანისამოსი,

განცხადებების და საჩივრების განხილვა, კონტაქტები გარე სამყაროსთან, კვება, სამედიცინო მომსახურება, რელიგიური რიტუალების აღსრულება, დაყოფა ასაკობრივ ჯგუფებად, მოთხოვნები პერსონალის მიმართ, შრომითი საქმიანობა და სხვა), ასევე დებულებები, რომლებიც ეხება საშიში სამართალდამრღვევების დასჯას, დისციპლინის და მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, რათა აისახოს გამოსასწორებელი დაწესებულებების განსაკუთრებული ნიშნები არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ მინიმალური სტანდარტული წესების ამოქმედების სფეროში, რომელიც ეხება მართლმსაჯულების აღსრულებას არასრულწლოვანთა მიმართ.

27-ე წესში მითითებულია აუცილებელი მოთხოვნები გამოსასწორებელ დაწესებულებებში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ (წესი 27.1.) ასევე, მათი კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ასაკის, სქესის და პიროვნულობის გათვალისწინებით (წესი 27.2.). ამიტომ, მოცემული წესის შინაარსი და მიზნები გარკვეულად ემთხვევა მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ზოგიერთ შესატყვის დებულებას.

28. პირობითი გათავისუფლების რეგულარულად გამოყენება ადრეულ ეტაპებზე

28.1. გამოსასწორებელი დაწესებულებებიდან პირობით გათავისუფლება ხდება შესაბამისი ორგანოების მიერ, რაც შეიძლება ფართო მასშტაბით და რაც შეიძლება ადრეულ ვადებში.

28.2. არასრულწლოვნებს, რომლებიც პირობით არიან გათავისუფლებულნი დაწესებულებებიდან, უწევენ დახმარებას და ისინი იმყოფებიან შესაბამისი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ. მათ უნდა დაეხმაროს თემი.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

უფლება, პირობითი გათავისუფლებაზე ნებართვის შესახებ, შეიძლება მიიღოს 14.1. წესში მითითებულმა ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანომ ან ხელისუფლების ნებისმიერმა სხვა ორგანომ ამიტომ, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს განსაზღვრება "შესაბამისი" და არა "ხელისუფლების კომპეტენტური" ორგანო.

თუ საშუალებას იძლევა გარემოება, უპირატესობა უნდა მიეცეს პირობით გათავისუფლებას, რომლის მეოხებითაც ახალგაზრდა არ არის ვალდებული მთლიანად მოიხადოს სასჯელის ვადა. როდესაც არსებობს მონაცემები, რომლებიც მოწმობენ გამოსწორების პროცესის დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობას, ის სამართალდამრღვევნი, რომელნიც საშიშად ითვლებოდნენ გამოსასწორებელ დაწესებულებაში, შეიძლება გათავისუფლებული იქნენ პირობით, თუ ამის შესაძლებლობას იძლევა გარემოება. გამოსაცდელი ვადის დაწესების მსგავსად, ამგვარი გათავისუფლება შეიძლება მოხდეს რიგი პირობების შესრულებით, რომელთაც აწესებენ შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტილებაში მითითებული ვადით. მაგალითად, სამართალდამრღვევის "კარგი ყოფაქცევის" გამო, სათემო ღონისძიებებში მონაწილეობისას, შესუსტებული რეჟიმის გამოსასწორებელ დაწესებულებაში მოთავსების პირობით და სხვა.

გამოსასწორებელი დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლების შემთხვევაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს დახმარება და ზედამხედველობა პრობაციის სისტემის თანამდებობის პირის ან სხვა თანამდებობის პირთა (კერძოდ, ქვეყნებში, სადაც პრობაციის სისტემა ჯერ კიდევ არ არის შემოღებული) მიერ, ასევე უნდა წახალისდეს თემის მხარდაჭერა.

29. სამუშაოს შუალედური ფორმები

29.1. საჭიროა ძალისხმევა, რათა გამოყენებული იქნეს სამუშაოს შუალედური ფორმები, როგორიც არის შესუსტებული რეჟიმის გამოსასწორებელი დაწესებულებები, აღმზრდელობითი სახლები, დღის მომზადების ცენტრები და მათთან შესატყვისი ანალოგიური ფორმები, რომლებიც დაეხმარება არასრულწლოვანთა ჯეროვან ინტეგრაციას საზოგადოების ცხოვრებაში.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ანგარიში უნდა გაეწიოს გამოსასწორებელი დაწესებულებიდან გამოსული არასრულწლოვანისადმი მზრუნველობით მოპყრობის მნიშვნელობას. მოცემულ წესში განსაკუთრებით მითითებულია, რომ აუცილებელია შეიქმნას შუალედური ხასიათის დაწესებულებათა ქსელი.

ამავე წესში ხაზგასმულია აუცილებლობა იმისა, რომ შეიქმნას სხვადასხვაგვარი დაწესებულებანი და სამსახურები, რომლებიც გაანგარიშებულია საზოგადოებაში დაბრუნებული ახალგაზრდა სამართალდამრღვევების სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებისათვის და საზოგადოების ცხოვრებაში მათი წარმატებით რეინტეგრაციისათვის, ხელმძღვანელობის და სტრუქტურული მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ე ქ ვ ს ე

გამოკვლევები, პოლიტიკის დაგეგმვა, შემუშავება და შეფასება

30. გამოკვლევები როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, შემუშავებისა და შეფასების საფუძველი

30.1. საჭიროა ძალისხმევა, რათა ორგანიზებულ იქნეს და წახალისდეს აუცილებელი საკვლევი სამუშაოები, რომლებიც პოლიტიკის ეფექტური დაგეგმვის და შემუშავების საფუძველია.

30.2. საჭიროა ძალისხმევა, რათა პერიოდულად მიმოხილული და შეფასებული იქნეს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების და დანაშაულობათა ტენდენციები, პრობლემები და მიზეზები, ასევე თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა სხვადასხვა სახის კონკრეტული საჭიროებანი.

30.3. საჭიროა ძალისხმევა, რათა შეიქმნას რეგულარული, შეფასებული გამოკვლევების მექანიზმი, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სისტემაში და მოხდეს შესაბამისი მონაცემების და ინფორმაციის შეკრება და ანალიზი მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის რეფორმის შემდგომი დახვეწის და შეფასებისათვის.

30.4. არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების დროს მომსახურება სისტემატურად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, როგორც განუყოფელი ნაწილი ღონისძიებებისა ეროვნული განვითარებისათვის.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

გამოკვლევების გამოყენება, როგორც საფუძვლისა არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრუ-

ლების სფეროში რაციონალური პოლიტიკისა, აღიარებულია უმთავრეს მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს სამეცნიერო მიღწევებს და არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სისტემის გამუდმებულ განვითარებას და სრულყოფას. ორმხრივ კავშირს საკვლევ სამუშაოს და პრაქტიკას შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების სფეროში. ახალგაზრდობის ცხოვრების სტილში მიმდინარე სწრაფი და ხშირად რადიკალური ცვლილებების პირობებში, ასევე, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ფორმების და მასშტაბების გათვალისწინებით, საზოგადოების და მართლმსაჯულების რეაქცია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და საძართალდარღვევებზე მალე ძველდება და არაადექვატურია.

ამიტომ 30-ე წესში მითითებულია სტანდარტები, რათა კვლევითი სამუშაოები ჩაერთოს პოლიტიკის შემუშავების პროცესში და გამოყენებულ იქნეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში. მოცემულ წესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არსებული პროგრამების და ღონისძიებების რეგულარულ მიმოხილვას და შეფასებას. ასევე, დაგეგმვას განვითარების უფრო ფართო კონტექსტში.

არასრულწლოვანთა საჭიროებების, ასევე, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევების ტენდენციების და პრობლემების გამუდმებული შეფასება წარმოადგენს უპირველეს პირობას შესაბამისი პოლიტიკის და ჩარევის ღონისძიებების შემუშავებისათვის, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე. ამ კონტექსტში პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა დახმარება უნდა გაუწიონ გამოკვლევებს, რომლებსაც ახორციელებენ დამოუკიდებელი პირნი და ორგანიზაციები და როგორც ჩანს, მიზანშეწონილია მიღებული და გათვალისწინებული იქნეს არასრულწლოვანთა მოსაზრება და არა მხოლოდ მათი, რომელთაც უშუალო კონტაქტები აქვთ მართლმსაჯულების სისტემასთან.

დაგეგმვის პროცესში პირველ ადგილზე უნდა წამოიწიოს აუცილებელი მომსახურეობის უზრუნველყოფის უფრო ეფექტური და საქართლიანი სისტემის შექმნის ამოცანა. ამ მიზნით, უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა სხვადასხვაგვარი კონკრეტული საჭიროებების და პრობლემების კომპლექსური და რეგულარული ანალიზი. ამ მიზნით, აუცილებელია არსებული რესურსების კოორდინირება, მათ შორის - ალტერნატიული და საზოგადოებრივი მხარდაჭერის, რაც ხელს შეუწყობს კონკრეტული პროცედურების შემუშავებას შექმნილი პროგრამების რეზულტატების კონტროლისა და განხორციელებისათვის.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. წინასიტყვაობა..... 3

2. მსჯავდადებულებთან მოპყრობის საერთაშორისო მინიმალური სტანდარტული წესები..... 13

3. მსჯავდადებულებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპები..... 52

4.მსჯავრდადებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების ეფექტიანად განხორციელების პროცედურები..... 54

5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ.(პეკინის წესები)..... 67

ტექნიკური რედაქტორი: კახა ხინთიბიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ირმა სურმანიძე

გადაეცა წარმოებას 10.08.98. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.09.98.
ქაღალდის ზომა 60x84 1/16

ტირაჟი 250

დაიბეჭდა შ.პ.ს. „გამას"– ს სტამბაში. მელიქიშვილის ქ. №2